

მომხრეა და მსურველი ამაში ჩვენ არასოდეს ექვი არ გვქონია, მაგრამ ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გაუგებარი სიჩუმე, რომელსაც იგი დღემდე ეწეოდა. რაც შეეხება სამღვდელოებას, მასაც არა უთქვამს რა შესახებ ამისა მის მეტი, რაც არ სთქვა თავის პეტროპოლიში. იგი, ყოველთვის ტახტის ერთგული, მოთმინებით უცდიდა იმ დროს, როცა ეს საკითხი მეფის ბრძანებისამებრ წასდგებოდასრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე. სამღვდელოებამ მეფის ბრძანება იმ აზრით გაიგო, რომ მის უდიდესობას შესაძლებლად მიაჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა და ამაში არავითარ პოლიტიკურ საშიშროებას არ ხედავს რუსეთის მთლიანობისათვის. დღეს, როგორც ყოლიფრით ეტყობა, რუსეთის იერარქია არც კი აპირებს ამ საკითხის წამოყენებას საეკლესიო კრებაზე და უნდა საქმე შინაურულათ მიაფუჩნოს. მაგრამ ავიწყდება, რომ საეკლესიო კანონები არ არის ისეთი ქოთანნი, რომელსაც ყურს იქით გამოაბამ საითაც გინდა. იგი უცვლელია და უკვდავი, და აი სწორეთ ამ საეკლესიო კანონებში ნათლათაა გარკვეული, რომ კერძო ეკლესიას ვერავინ მოუსპობს ავტოკეფალობას, თუ კი ერთხელ იგი ამით სარგებლობდა. და თუ რომელიმე ეკლესიას არ სურს მართლმადიდებლობას გადუდგეს, ეს კანონიც მტკიცეთ უნდა დაიცვას, როგორც მსოფლიო ეკლესიის დადგენილება სულიწმიდის ჩაგონებით და ზეგავლენით. ამის მიხედვით ხალხის სულ მცირე ნაწილსაც, თუნდ მარტო სამღვდელოებასაც რომ სურდეს თავის ეკლესიის ავტოკეფალობით სარგებლობა, ვერავინ დაუშლის. დღეს მაინც, როცა ჩვენმა ბრესამ ხმა ამოიღო, აღარავის უფლება არა აქვს სთქვას, რომ საქართველოს ეკლესიის

ავტოკეფალობის აღდგენა მარტოდენ სამღვდელოების სურვილიაო. არა, ეს სურვილია ყველა შეგნებული მორწმუნე ქართველის სწორეთ ისე, როგორც თავის დროზე რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალობის მოპოება სურვილი იყო მეფისა სამღვდელოებისა და შეგნებული ერისკაცებისა და არა მთელი რუსეთის მდებალი ხალხისა, რომელსაც ავტოკეფალობის მნიშვნელობა სრულიადაც არ ესმოდა.

პრესა

და საქართველოს ეკლესია.

ერთ რუსულ გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელშიდაც სხვათა შორის ის აზრი იყო გატარებული, რომ მაისის ახლო რიცხვებში მოსალოდნელია პატრიარქების კრება რუსეთში. ამ კრებამ სხვათა შორის უნდა განიხილოს საქართველოს ეკლესიის საკითხიც. ეს კრება გადაჭრით გადაწყვეტს, თუ რა ადგილი უნდა დაიკაროს საქართველოს ეკლესიამ: დაუბრუნდეს მას დაკარგული დამოუკიდებლობა, თუ უკანასკნელათ შეუერთდეს რუსეთს. ხოლო ამისათვის საჭიროა ყოველივე ეს მოხდეს პატრიარქების დამოწმებით. აი სწორედ ამიტომ არის მოწვეული პატრიარქების კრებაც. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მსოფლიო პატრიარქი გერმანი წინააღმდეგი ყოფილა, რომ ივერიის ეკლესიას წაერთვას დამოუკიდებლობა და უარი განუცხადებია რუსეთში მოსვლაზე. მაგრამ აი თვით მოკლე ამონაწერი წერილიდან:

„ნამდვილი წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ მსოფლიო პატრიარქმა გერმანმა გადაჭრით განაცხადა უარი რუსეთს გამგზავრებაზე, სადაც განზრახულია მართლმადიდებელ პატრიარქების კრების მოწვევა.

სხვა საკითხთა შორის გასაჩნევი საქართველოს ეკლესიის საბოლოო შეერთება რუსის ეკლესიასთან, რისაც პატრიარქი არ თანაუგრძნობს და არც დაადასტურებს კრების გადაწყვეტილებას, თუ ეს უკანასკნელი და-

დებითი ხისითის იქნება. პატრიარქი გერმანე მომხრეა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა.

გერმანე დაეჭვიანა იმ შეხვედრამაც, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს გაუშარაეს პეტერბურგში. თურმე 21 თებერვალს, ყაზანის ტაძარში, პატრიარქის წირვის დროს, რუსის მიტროპოლიტები, წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა, გვერდში ამოსდგომიან პატრიარქს და არა უკან, სხვა კრებულთან ერთად. პეტერბურგის მიტროპოლიტს ვლადიმერს უარი უთქვამს ანტიოქიის პატრიარქთან ერთად პანაშვიდის გადახდაზე საბერძნეთის მეფის სულის მოსახსენებლად.

ყველა ამას მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსოფლიო პატრიარქ გერმანეზე. („უტრო როსია“ № 85).

ამ ამბავს, როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენი პრესა და ქართველი საზოგადოება, გამოეხმუარა და გულთან ახლო მიიღო „Утро Россия“ში დაბეჭდილი მსოფლიო პატრიარქის მიუღდომელი და შეტათ სამართლიანი აზრი საქართველოს ეკლესიის თაობაზე. ამ საკითხზე მოგვყავს სათითაოდ ჩვენი გაზეთების არი:

გუშინდელი ჩვენს გაზეთში ვკითხულობ „სახ. ვაზ.“ დაიბეჭდა ფრიად საინტერესო ცნობა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა ქართველმა საზოგადოებამ. მსოფლიო პატრიარქმა გერმანმა გადატრით უარი განაცხადა რუსეთში მოსვლაზე მართლმადიდებელ პარტიარქების კრებაზე დასასწრებლად. სხვა მიზეზთა შორის უოფილა ერთი მიზეზი, რომელიც ქართული ეკლესიის ბედს შეეხება. გერმანი წინააღმდეგია საქართველოს ეკლესიის საბოლოო შეერთებისა რუსის ეკლესიასთან და არ უნდა თავისი დასწრებით იელი შეუწყოს საქმეს, რომელიც მას ანტიკანონიურად მიჩნია.

ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა და იმდენად არ შეფერება ყველა იმას, რასაც მოულოადა ქართველი ეკლესია რუსეთის საე-

კლესიო კრებისაგან, რომ არ შეგვიძლიან ერთხელ კიდევ არ მოვაგონოთ მკითხველებს, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საეკლესიო საკითხი და რა მდგომარეობაში ჩაეარდა იგი დღეს პოლიტიკან მოღვაწეთა წყალობით.

განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, როდესაც დაიწყო ხელ-ახალი შეფასება ყველა ღირებულებათა და შესაძლებელი გახდა იღუმალ გულის ზრახვათა თავისუფალი გამოთქმა, დაიბადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც. საეკლესიო მოძრაობა იმდენად ძლიერი იყო, სამღვდლოება იმდენად თავგამოდებითა და ერთსულოვნობით მოითხოვდა ავტოკეფალიის, რომ ბოლოს მისი ხმა პეტერბურგშიაც გაიგონეს და ჯეროვანი ურადღება მიაქციეს.

საკითხი იმდენად მომწიფებულად მიჩნდათ, რომ ქართველმა სამღვდლოებამ, საქართველოს მაშინდელი ეგზარხოსის—ნიკონის—მოწვევით, შეიმუშავა განსაზღვრული აქტი, რომელიც, ავტოკეფალიის სრულს განხორციელებამდე, აწესრიგებდა ურთიერთობას ქართველ სამღვდლოებს და სინოდის უმაღლეს წარმომადგენელი—ეგზარხოსის—შორის. მოგვყავს ერთი მუხლი ამ საყურადღებო დოკუმენტიდან, რომლის შედგენაშიაც მონაწილეობას იღებდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, სოხუმის—კირიონი, გურია-სამეგრელოსი—გიორგი და ალავერდისა—პეტრე. ეს ეპისკოპოსები მოიწვია საქართველოს ეგზარხოსმა ნიკონმა, იათბირეს და 1906 წლის 12—14 ოქტომბერს დაადგინეს:

3) საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტამდე სამღვდლოებამ იქონიოს ადმინისტრაციული დამოკიდებულება საქართველოს ეგზარხოსთან შემდეგი წესების მიხედვით. (მოყვანილია ეს წესები).

როგორც ჰხედავთ, საკითხი საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ იმდენად მომწიფებული და გამოკრეველი იყო ადგილობრივ მაინც, რომ, როგორც ეგზარხოსს, ისე ქართველ სამღვდლოებს, საკმარისად მიჩნდათ მხოლოდ ადმინისტრაციული ურთიერთობის დამყარება ქართველ სამღვდლოებსა და სინოდის უმაღლეს წარმომადგენლის შორის.

საკითხი იმ წერტილზე არ ვაყინულა და მსვლელობა მიიღო.

ხელმწიფემ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა განეხილა რუსეთის მომავალ

საეკლესიო კრებას, რომელსაც დღეს ელის რუსის სამღვდლოება. კრებას უნდა განეხილა, რამდენად სამართლიანია, კანონიურის თვალსაზრისით, მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ამ რიგად პროგრამა რუსეთის საეკლესიო კრების მუშაობისა წინდაწინვე განსაზღვრულსა და ვიწრო ჩარჩოებში იყო ჩაყენებული. საეკლესიო კრებას უნდა გამოეჩვენა არა ის, თუ რამდენად **სასარგებლოა** ქართული ან რუსული ეკლესიისთვის ავტოკეფალია, არა ის, თუ რამდენად **ხელს უწყობს ანუ უშლის** იმ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც დღეს რუსეთის მთავრობა ადგია, არამედ მხოლოდ კანონიური საფუძვლიანობა ავტოკეფალიის მოთხოვნისა. წინასწარი, მოსამზადებელი თათბირი, რომელიც პეტერბურგში გაიმართა, ასცდა ამ გზას და არავითარი ყურადღება არ მიაქცია კანონიურ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც, ალბად, ვერავითარი საბუთები ვერ წამოაყენეს.

პოლიტიკანებმა, რომლებსაც ჩვენში კარგად ცნობილი ვოსტორგოვი ხელმძღვანელობს საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი პოლიტიკურ საკითხად აქციეს და მთავრობის პოლიტიკურ კურსის ინტერესებს დაუქვემდებარეს. ამიტომ დაიწყო მთელი უმადლესი ბრძანება ხელმწიფისა, რომელიც რუსეთის საეკლესიო კრებას საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის გამორკვევას ავალბდა. წინასწარმა თათბირმა კრინტი არ დასძრა თვით ავტოკეფალიაზე და შეუდგა სხვადასხვა პროექტების განხილვას, რომელთა ერთად ერთი მიზანი იყო უფრო მჭიდროდ დაექვემდებარებინა საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიისთვის.

ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი დღემდე. რა თქმა უნდა, რუსეთის ეკლესია მართო პოლიტიკანებისგან არ შესდგება. არიან ისეთებიც, რომელნიც ჰგონობდნენ უსამართლობას და საბუთებით უმტკიცებენ მოწინააღმდეგეთ, რომ საქართველოს ეკლესიას აქვს კანონიური უფლებანი, რომელთაც პატივცემით უნდა მოექცეს რუსის სამღვდლოებათ. საქართველოს ავტოკეფალიის ბევრი მოსაზრებაც კარგად რუსის სამღვდლოებაში, ისე რუსის ხალხში. როგორც გუშინ დაბეჭდილ ცნობიდან სჩანს, საქართველოს ავტოკეფალიის მომხრე ყოფილა მსოფლიო პატრიარქი გერმანიც. ყველა ესენი ემყარებიან იმ უტყუარ ფაქტს, რომ ქართულ ეკლესიას აქვს კანონიური უფლება და მოუკიდებდნენ თვითარსებობისა და ამიტომ

არ უნდათ თავს იღონ მძიმე ბრალდება უკანონო საქციელის ჩადენისა.

გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იმითია საყურადღებო, რომ იგი ახალს შუქს აყენებს საკითხს. როგორცა სჩანს, ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეთ მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებანი საკმარისად აღარ მიიჩნიათ საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის საბოლოო დასასამარბლად. საეკლესიო კანონები ისეთი რამ არის, რაც მუდამ დომოკლეს მახვილივით აწვება კისერზე და გასაქანს არ აძლევს. რუსეთის სასულიერო წრეები დაინტერესებულნი არიან, რომ რუსეთის საეკლესიო საქმეები სასულიერო კანონების მიხედვით იყოს მოწყობილი, და ამისთანა პირობებში უარყოფა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, რაიცა ანტიკანონიური აქტი იქნებოდა, ბევრს გულ წრფელ მართლმადიდებელ მოღვაწეს ვერ დააკმაყოფილებდა. მაშასადამე იბადება სურვილი—გამოეცალოს საქართველოს ეკლესიას ეს მტკიცე და შეურყვეველი საფუძველიც. ზემოდ-მოხსენებული ცნობაც სწორედ იმას გვიმტკიცებს, რომ რუსეთის უმადლეს სასულიერო წრეებში განუზრახავათ, ისარგებლონ მსოფლიო პატრიარქების მოწვევით, რომ მათ აღიარონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, სრული შეერთება რუსეთის ეკლესიასთან და ამ რიგად ფაქტიურად თითქმის გაუქმებულ ქართულ ეკლესიის კანონიური საფუძველიც გამოაცალიონ. სრულიად სხვა საკითხია, რამდენად კანონიერი იქნება ეს დადასტურება, რამდენად კომპეტეტური იქნება მსოფლიო პატრიარქების დადგენილება, კიდევ რომ გამოიტანონ იგი. მაგრამ რუსეთის უმადლეს სასულიერო წრეებს ყოველ შემთხვევაში აზრად აქვთ ამ დასტურით მორალური ძალა დაუკარგონ საქართველოს საეკლესიო ტრადიციებს და სამუდამოდ გამოაცალიონ ხელიდან იარაღი, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა პოლიტიკურის საშუალებით არა კმარა. ასეთია იღუმალი გულის ზრახვა საქართველოს ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეთა. ისინი დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკურ მოსაზრებათა წამოყენება საქართველოს ავტოკეფალიის წინააღმდეგ არა კმარა, და საქართველოს კანონიური საფუძველიც აქტი საქართველოს ეკლესიის გაუ-

ქმებისა უნდათ დაადასტურონ დადგენილებით, რომელსაც საეკლესიო კანონების ნასახი მაინც ექნება. ასეთს დადგენილებად რუსეთის უმაღლეს საეკლესიო წრეებში მსოფლიო პატრიარქთა დადგენილება მიიჩნიათ, და აქი კიდევ სთხოვენ დახმარებას.

გერმანი წინააღმდეგია საკითხის ამნაირად დაყენებისა. არ ვიცით, სხვები რას იტყვიან. ყოველ შემთხვევაში, რახან რუსეთის საეკლესიო, წრეებში ასეთი განზრახვა დაიბადა, ცხადია, იმედიც აქვთ, რომ მიზანს მიაღწევენ და მსოფლიო პატრიარქთა კრებას გაგამოატანინებენ ისეთს დადგენილებას, რანაირიც თითონ უნდათ. როგორც ჰხედავთ, საკითხი ისე მწვავედ და რადიკალურად არის დაყენებული, რომ არ შეიძლება ქართველმა საზოგადოებამ და პრესამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოს. ამიტომ კარგი იქნება, თუ პრესაც გამოსთქვამს თავის აზრს ამ საკითხის გამო, რომლის ასეთ თუ ისეთ გადაწყვეტაზე დამოკიდებული ქართული ეკლესიის მომავალი.

(სახ. ვაზ.)

ყოველ კვირეულმა ჟურნალმა კლდემ მოწინავე წერილით აღნიშნა საქართველოს ეკლესიის უმწეო მდგომარეობა და დასძინა:

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ახალ ფაზაში გადადის. რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ისეთი ცნობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და მით უმეტეს მათ, ვის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს დაცვას სამშობლო ეკლესიის ინტერესები. უპირველესად ყოველისა ასეთად მოგვიჩნია ქართველი სამღვდელთა და მართლ-მორწმუნე მართლმადიდებელი ქართული სამწყსო, ქრისტესა და წმინდა ეკლესიისთვის მრავალწამებული მთელი ქართველი ერი.

საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა იმდენად მომწიფებულია ზენში და იმდენად საზრუნავ საგნად შექმნილა ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიან ქართველისთვის, რომ მის ისტორიის გახსენება დაწვრილებით

საქიროც აღარ არის. 1818 წელს მოისპო დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა და საკათალიკოსოს მაგიერად საქართველოში ეგზარხატი გამოცხადდა. ამ აქტით მოისპო ერთი უძველესი ეკლესიის დამოუკიდებლობა, მაგრამ რადგანაც უბრალო ბიუროკრატიული აქტი ავტოკეფალიის მოსპობისა არ იყო აქტი კანონიერი, რადგან იგი არ გამომდინარეობდა მსოფლიო კრების დადგენილებიდან, ამიტომ საქართველოს ეკლესია, მიუხედავად ყველა უბედურობისა, რაც მას თავზედ დაატყდა, დღესაც ავტოკეფალურად უნდა ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდელთა და ქართველ მართლმადიდებელ სამწყსოს საზრუნავს მხოლოდ ის შეადგენდა, რომ, რაკი ეკლესია წმ. კანონებით ავტოკეფალური იყო, დაებრუნებინა მისთვის ის უფლებანი, რომლებიც წმ. კანონების წინააღმდეგ წაართვეს მას. უფრო დიდი განვითარება ამ ცდამ და ბრძოლამ ახლო წარსულში მიიღო. საქართველოში ყველას ახსოვს ის წამი, როცა თხოვნამ თვით ხელმწიფე იმპერატორადის მიადწია. ხელმწიფე იმპერატორის ყურადღება კი ამ საკითხისადმი იმას ნიშნავს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა ლეგალურია, იგი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს და მით უმეტეს მართლმადიდებელ ეკლესიის კანონებს. ხელმწიფე იმპერატორმა საკითხი გარდასცა რუსეთის საეკლესიო კრებას, მანამდის კი ის შეტანილ იქნა წინასწარ კრებაზედ, სადაც მიწვეულ იქმნენ ქართველი ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე და სხვათა შორის ასეთი მკოდნენი საკითხის ისტორიისა, როგორც პროფ. ა. ცაგარელი და აკად. ნ. მაროი. სამწუხაროდ ამ წინასწარ კრებამ არ მოისურვა კითხის შეკიდრ ნიადაგზე დაყენება; საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლება კრებას თავი მიანებეს და საქმეც დიდხანს მიყუჩდა.

ახლა ხელმეორედ წამოაყო თავი ავტოკეფალიის საკითხი და, როგორც ეტყობა, ეს უნდა იყოს უკანასკნელი ფაზა, როდესაც მისი ბედი ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს. ახლო მომავალში რუსეთში გაიხსნება საეკლესიო კრება, რომელზედაც სხვათა შორის განიხილავენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, მაგრამ ეტყობა რუსეთის

ეკლესიის ხელმძღვანელებს წინაწინვე ჰქონათ გადაწყვეტილი ქართული ეკლესიის სრული გაუქმება, რაც იქიდანაც სჩანს, რომ ამ კრებაზედ დასწრების უარს აცხადებს მსოფლიო პატრიარქი გერმანი, სხვათაშორის იმ მოსაზრებითაც, რომ მას არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ისეთ კრებაში, რომელსაც აზრად აქვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

ავტოკეფალიის საკითხი არასოდეს ასე მკაფიოდ არ წამოყენებულა მართლმადიდებელ საქართველოს წინაშე. გაუქმება ჩვენის ეკლესიის იმას მოასწავებს, რომ მძიმე ლოდი დაადო მთელ ჩვენ სულიერ და სარწმუნოებრივ ცხოვრებას, რომელიც წარსულში აღმოცენებული იყო ქრისტეს უდიდეს მცნებაზედ და მომალეობაშიც გავრცელება უნდა იყოს იმავ საქრისტიანო მცნებისა და კულტურისა. გაუქმება ჩვენის ეკლესიისა ნიშნავს იმ ღვაწლის გაუქმებას, რომელიც მიუძღვის მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიას ქრისტეს სარწმუნოების წინაშე წარსულში და იმ სულიერ მოღვაწეობის მოსაბოძებს, რომელიც უნდა გავსწიოთ მომავალში. გაუქმება ჩვენის ეკლესიისა ნიშნავს თვით საქრისტიანო სარწმუნოების გაუქმებას ჩვენში. საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა ტანჯვით ზიდა ქრისტეს ჯვარი, არ გადაგვიცია იგი ურწმუნოთათვის, თუმცა ეს სიკოცხლედ გვიღირდა, და დაკარგვა მისი ეხლა, ჩვენ სულიერ დაკარგვას ნიშნავს. ჩვენ დავკარგეთ სამეფო, ჩვენ დავკარგეთ მეფეები, მაგრამ ჩენი სული ჯერ კიდევ სკოცხლობდა მით, რომ იგი გამთბარი იყო ქრისტეს სარწმუნოებით, ნუგეშს ეპოვებდით ჩვენს მრავალ ტანჯულ ეკლესიაში. ეს იყო, თუ გნებავთ, სული ჩენი და როცა ეს უკანასკნელიც მოაქვთ, ქართველ ხალხს უფლება აქვს იკითხოს — რაღა შეგვრჩა?

აი რათა გვგონია, რომ როცა ასეთი საკითხი სწყდება, მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველი ერი კვლავ მოითხოვს სადაც ჯერ არს, თავის ეკლესიის აღდგენას და მისი დაცვა ღვაწლი იქნება მართლმორწმუნე ქრის-

ტიანისთვის, მოუხედავად იმისა, მარტო ჩვენ დაეცვათ მას, თუ ჩვენთან ერთად მართლმადიდებელი რუსებიც.

ქუთათური გაზეთი დილა-კი ასე მიეგება ამ საკითხს:

„სარწმუნოებრივი საკითხი ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის გადახლართულია პოლიტიკურ საკითხებთან და რამდენადაც სარწმუნოებას გავლენა აქვს ხალხის ცხოვრებაზე. ჩვენი პრინციპი მოითხოვს... სრულ თავისუფლებას რწმენასა და სრულ განცალკევებას ეკლესიისას სახელმწიფოსაგან. ჩვენ დავუჭერთ მხარს ყველა იმ ზომებს, რომელიც კი ხელს უწყობს ამ პრინციპის განხორციელებას, და პროტესტს განვაცხადებთ ყოველ იმ ზომის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს ამას.

„თუ ამ მხრივ შევხედეთ რუსეთის ეკლესიის ბატონ-პატრონთა ზემოთ აღნიშნულ სურვილს, უნდა აღვიაროთ, რომ საქართველოს ეკლესიის საბოლოო გაუქმება წარმოადგენს ახალ ძალადობის აქტს. ერთი უშველებელი ძალადობით უკვე ჩადენილი იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც მოსპეს საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. ეს გაუქმება მოხდა მაშინ საეკლესიო კანონის გარეშე, მის დაუკითხავად და ამიტომ ის აქტი იმდენათ უცილობელ და თვალსაჩინო ძალადობას წარმოადგენდა, რომ ეკლესიის დღევანდელი მესვეურნიც კი გრძნობენ, რომ მას დაკანონება, საეკლესიო კანონის სანქცია სჭირია. აი რა განზრახვით უნდათ მათ ხელახლათ წამოყენება საქართველოს ეკლესიის საკითხისა, სინოდს უნდა მსოფლიო და სხვა პატრიარქების ავტორიტეტით დაფაროს ხალხის რწმენის თავისუფლების შეზღუდვა, ამ შეზღუდვის პასუხისმგებლობა, რომელიც დღეს სულ მთლად რუსეთის მთავრობას ედება, გადაიტანოს მსოფლიო და სხვა (?) პატრიარქებზე.

„მაგრამ ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის ედება პასუხისმგებლობა — პატრიარქებს თუ რუსეთის მთავრობას; მსოფლიოს კანონის თანახმად მოხდება ქართული

ეკლესიის გაუქმება, თუ მათი დარღვევით, პატრიარქების სანქციით მოხდება ეს თუ სხვა-ნაირად — ეს ჩვენთვის სულ ერთია; ძალადობა ძალადობაა და ვერავითარი სანქცია, ვერავითარი კანონზე მითითება ვერ დააბნელებს საქმის ნამდვილ მნიშვნელობას: ხალხის დაუკითხავად მას ზემოდან თავზე ახვევენ იმისთანა ზომას, რომელზედაც ხალხი არ დათანხმებულა: ჩაიდენს ამას საერო მთავრობა, როგორც აქამდის იყო, თუ ამ ზომას დაადასტურებენ პატრიარქები — საქმე ამით არ გამოიცვლება.

... ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოაწყობენ თავიანთ რწმუნის საქმეებს მორწმუნენი, როგორი იქნება მათი საეკლესიო ორგანიზაცია, ავტოკეფალურ ეკლესიას არჩევენ ისინი, თუ სხვის ეკლესიას მიეკედლებიან, ერთს სარწმუნოებას აღიარებენ თუ სხვას შეიფარებენ თავს — ყველა ეს ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელოა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვერვით ჩვენ საეკლესიო საკითხში: მაშინ, როდესაც ვინმე ძალადობას ხმარობს ხალხის სინიდისზე, მაშინ, როდესაც ვინმე ძალით თავზე ახვევს ხალხს ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციას, მაშინ ჩვენ აღარ შეგვიძლიან გაჩუმება, არ შეგვიძლია პროტესტი არ განვაცხადოთ ძალადობის წინააღმდეგ.

საქართველოს ეკლესიის საბოლოო გაუქმებას მასთან ერთად ნაციონალურ დენასთანაც აქვს მჭიდრო კავშირი. ეს აქტი გამარჯვებულ და სხვა ეროვნებათა მდევნელ პოლიტიკის შედეგია, მთავრობის საერთო ნაციონალისტურ პოლიტიკის შედეგია, ამ აქტით რუსეთის ეკლესიის მესვეურნი კიდევ ერთხელ ზედმეტათ დაამტკიცებენ, რომ მათი მოქმედება საესებით დამორჩილებულია საერო მთავრობის მიერ, რომ მათი საეკლესიო პოლიტიკა არ არის ნაკარსხვევი გულწრფელ რწმუნისაგან.

მადლობა ღმერთს, რომ ასეთი განურჩევლობა მართო ოდენ დილის მესვეურების აზრია და არა იმ ხალხისა, რომლის მეთაურობას ისინი ჩემობენ...

ორშაბათეული გაზეთი „თემი“ უჩივა ქართველ ხალხს დაუდევრობას, უზრუნველობას და დასძინს:

ჩვენი უზრუნველობა საარაკო შეიქმნა. სრულებით არა ეფიქრობთ არც ჩვენი ეროვნული კულტურის აწყოზე და არც მის მომავალზე.

მოტყუებულ შეუღლესავით ჩვენ ყოველთვის გვიან ვტყობილობთ მას, რაც ჩვენი ეროვნულ არსებობის და თემოყვარების წინააღმდეგ გასალაშკრებლად განზრახულია ჩვენი მტრისა, თუ მტერმოყვრისაგან.

საახალწლოდ სრულებით მოულოდნელად რუსეთის გაზეთებმა ახალი ამბავი მოგვითხანეს, რამ დაარსდა ერევნის კათედრა, ხოლო აღავერდისა „დროებით“ ცალიერი დარჩებაო. რა თქმა უნდა, ეს იმისთვის იყო განზრახული, რომ როგორმე დაემკირებინათ ქართული ეროვნული ეკლესიას თორემ აბა რა საერთო უნდა ჰქონოდა საქართველოს ეკლესიას და ერევნის გუბერნიას სადაც მხოლოდ ორი, თუ სამი მართლმადიდებელი საყდარი არსებობს.

ახლაც სააღდგომოდ იმავე გაზეთებმა მოგვითხანეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც სრულებით შეუმჩნეველი დაგვრჩებ და, რომ ის „უტრო როსიის“ გაზეთს უბრალო ცნობად არ მოეყვანა და ჩვენი ეკლესიის ერთგულ მეგობარს ნიკ. დურნოვოს კეთილშობილ რისხვით სავსე წერილი არ მოეთავსებინა „გოლოს მოსკვის“ გაზეთში.

მხოლოდ ამათი წყალობით შევიტყუეთ, რომ მისის პირველ რიცხვებში მოსკოვში შეიკრიბებიან მართლმადიდებელი პატრიარქები: მსოფლიო გერმანე, ალექსანდრიისა — ფოთი, იერუსალიმისა, — დამიანე და ანტიოქიისა — გრიბოლი, რომელიც ამ ეამად რუსეთში იმყოფება. ამით, თურმე, რუსეთის სხვა საეკლესიო საკითხების გარდა, უნდა გადასწვიტონ საკითხი ქართულ და რუსის ეკლესიის საბოლოო შეერთების შესახებ. ე. ი. უნდა მოუსპონ ჩვენს ეკლესიას ოდნავ შერჩენილი ეროვნული ნასახი. იმათვე ვეცნობეს ისიც,

რომ მსოფლიო პატრიარქს გერმანეს უარი უთქვამს მოსკოვში მისვლაზე და განუცხადებია ამ დასტურს ჩემგან ვერ მიიღებთ, რადგანაც მე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე ვარო.

როგორცა სჩანს, რუსეთის ეკლესიის მმართველ უმაღლეს ბიუროკრატის განუზრახავს უკანასკნელად მძლავრად მოუქნიოს მომაკვდინებელი მახვილი ჩვენს სამშობლო ეკლესიას.

ვასაკვირალი არ არის, რომ ჩვენში ამ უსიამოვნო ამბავმა სამართლიანად აღაშფოთა ყველა შეგნებული ქართველი, მიმართულების განურჩევლად.

ჩვენმა პრესამ ხმა უკვე ამოიღო. როგორც შევითქვით, სხვა და სხვა ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფები და წოდებანიც აპირებენ თავიანთი აზრი წარმოსთქვან განზრახულის შესახებ და შესაფერი შუამდგომლობა აღძრან სადაც ჯერ არს.

ჩვენ ეს საერთო აღშფოთება კარგად გვესმის.

ხალხი 15 საუკუნის განმავლობაში ამყობდა თავის სარწმუნოებით. გაიძაზრდა, სარწმუნოებამ შეგვიინარჩუნა ეროვნული ელფერი, მიწა-წყალი და ნუთუ იგივე სარწმუნოება შეიქმნება ახლა მიზეზად მისი დამხობისა?...
ეს დაუჯერებელი ამბავია...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ერთად რუსეთის ბრესის და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მთლად გაითვალისწინებს სრულ შენებლობას რუსეთის საეკლესიო ბიუროკრატის ნაბიჯისას. ამ შესვეურებს ისიც კი ვერ შეუღწიან, რომ საქართველოს ეკლესიის გაუქმება არა თუ პატრიარქთა კერძო კრებას, არამედ თვით მსოფლიო კრებასაც კი არ შეუძლია.

ისინი იწვევენ პატრიარქებს მხოლოდ იმ იმედით, რომ დადასტურებინონ თავიანთი განზრახვა და ამნაირად როგორმე გაამართლებინონ ხალხის თვალში თავიანთი უკანონო ქცევა...

მაგრამ, გვგონია, აქაც მოსტყუდების. თვით პატრიარქებში აღმოჩნდა უკვე ისეთი

პირი, რომელმაც განაცხადა: მე საქართველოს საეკლესიო თვითმმართველობის მომხრე ვარო. ეს ის მსოფლიო პატრიარქია, რომლის საპატრიარქოში შედიოდა ქართული ეკლესია ავტოკეფალიის მიღებამდე.

ღიად! ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენთან ერთად რუსეთის ბრესის და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი დაჭგომბს ამ მანენ ნაბიჯს რუსეთის საეკლესიო ბიუროკრატისას.

რასა სდუმან ჩვენი დებუტატები? ნუთუ ხმის ამოღება მათ მოვალეობას არ შეადგენს?!

სათათბიროს სხდომები თუ არ დაწყებულა, განა მის გარედ არა გაკეთდება რა?!..

სასლფარკარეთი და სარწმუნოება.

ჩვენში ბევრს ჰგონია, რომ საზღვარ გარეთ, როგორც დაწინაურებულ ქვეყანაში, სარწმუნოება ან არ არსებობს და თუ არსებობს, მხოლოდ სიტყვით, გარეგნულად. ასეთი შემეტარი წარმოდგენა საზღვარეთელ სარწმუნოებაზე უფრო გააძლიერა უკანასკნელმა საფრანგეთის მოძრაობამ კლერიკალების წინააღმდეგ. მაგრამ თვით ფრაზა „მოძრაობა კლერიკალების წინააღმდეგ“ ცხადად უჩვენებს, რომ მოძრაობა სარწმუნოების წინააღმდეგ კი არ ყოფილა, არამედ პირადად, კლერიკალების (სამღვდელოების) წინააღმდეგ იყო და ასეთი მოძრაობა ხშირი იყო საზღვარ გარეთ, თუმცა დღემდე ვერაფერს გაბდენ. და განა შეთქმსმეტე საუკუნის კლერიკალები, რომლებმაც სარწმუნოება და ეკლესია ერთ ვეებერთელა ცეცხლის კოცონად გადააქციეს ღირსნი არ იყვნენ დენისა? განა სადგენი არ იყვენ კლერიკალები, როცა იგინი ეტლებით დათარეშობდენ, ზარებს რეკდენ და მეძველეებით ინდულგენციებს ჰყიდიდენ? დღესაც ბევრი რამა დასაგმობი, როგორც ადგილობრივ ისე საზღვარ გარეთელ სამღვდელოებაში და ამ დასაგმობ მხარეების წინააღმდეგ გამოსულა.

მოძრაობა საერო წოდების მხრით სრულებით სარწმუნოების უარყოფას, სარწმუნოების წინააღმდეგ მოძრაობას არ ნიშნავს. მთელი ჩვენი გამოლაშქრება სარწმუნოების წინააღმდეგ უმთავრესად მისი ბრალია, რომ ჩვენ ვერ გავგვირჩევია ერთი მეორეში სარწმუნოება და მისი წარმომადგენელი. საზღვარ გარეთ არ არის ასეთი ცნებათა აღრევა. იქ მართალია ებრძვიან სამღვდლოებს, მაგრამ მტკიცეთ იცავენ სარწმუნოების თვით უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი. ჯერ, როდესაც ჩაღიხართ ან ვენაში ან ბერლინში, ან პარიზში ან ლონდონში, ყველაზედ უწინ თქვენს ყურადღებას მიიქცევს უზარმაზარი შენობები, რომლებსაც სიდიდით და სიღიადით სკარბოზს ეკლესიები.

კვირიკობისთვის 25 რიცხვს, შაბათს დილით ბრიუსელში ვიყავი და დასაბინავებელ ოთახს დავეძებდი. მალე ვიშოვე მშვენიერათ მოწყობილი ოთახი ხელსაყრელ ფასში. საღამოს უკვე ჩემი ოთახიდან ვიყურებოდი დიდ ფართო ქუჩაში, რომლის გვერდით აღმართული იყო, დიდი ტაძარი, რომელიც (როგორც ახალ ნასემენარიელს და ახალ აზრების მატარებელს) არ მსიამოვნებდა. „აქ კიდევ არის ეკლესიები?“ გავიფიქრე სულელურათ. მაგრამ როდესაც საღამოს ამ დიდი ეკლესიის უზარმაზარმა ზარამ იწყო გუგუნე, გავაღე ფანჯარა და ცნობის მოყვარულობით დავუწყე ხალხს თვალთვლება. ხალხი დიდი სიჩქარით მიეშურებოდა ეკლესიისაკენ. ჩაფიქრდი და ვსთქვი: „როგორ! აქაც ასე ერთგულად დაიარებიან ეკლესიაში?“. ეს იყო პირველი ჩემი აზრი, რადგანაც მე რუსეთიდან წავედი საზღვარგარეთ სწორეთ იმ დროს, როდესაც აქ მოძრაობა გამწვავებული იყო და მეც ახალი აზრებით (გადაქარბებულ, ცრუ შეხედულებებით) ვიყავი გატყუებული. დიდხანს ვათვლიერე ქუჩაში, გამვლელ-გამომვლენი და შემდეგ, როგორც გზიდან დაქანცული, ვივანშვე საჩქაროთ და დავიძინე. გათენებამდის ერთი საათი იქნებოდა რომ ზარების საშინელომა გრიალომა გამომადვიდა. ვიფიქრე, ნამდვილათ ცეცხლი გაჩნდა და იმიტომ რევენ მეთქი. მოვინდომე, მაგრამ აღარ დამეძინა. ავდექი, ჩავიცვი, გავაღე ფანჯარა და დავიწყე ელექტრონით გაბღღილვებულ ქუჩაში ყურება. შინდოდა ცეცხლი დამენახა, მაგრამ არსად მოსჩანდა. დავინახე მხოლოდ ფართე მოედანზე შეგროვილი სოფლელი გამყიდველები, რომლებსაც მოედანზე დეკაჟებიანათ თავისი ადგილი და გათენებას უც-

დიდენ. მივაჩერდი ეკლესიას, რომლის ზარები კიდევ გუგუნებდნენ. შევნიშნე, რომ სხვადასხვა ქუჩებიდან ხალხი (ქალი და კაცი, უფრო ხანში შესულნი) ეკლესიაში შედიოდა. გამიკვირდა. მაშინ კი მივხედი, რომ ცეცხლისათვის კი არა, სალოცავათ რეკავდნენ. „ნუ თუ ასე აღრე, ამდენი ხალხი მიდის ეკლესიაში? გამიელვა თავში. ჩვენში, გათენებამდის კი არა და ათ საათზედაც ძლიერ იძვრიან ეკლესიისკენ და ისიც მოხუცები. გათენდა, ქუჩებში ლაშქები გაქრა, გამოვედი გარეთ ქვაფენილზე და დავიწყე ხამვიით იქეთ აქით ყურება. ეკლესიიდან ხალხი გამოდიოდა. მოედანზე ვაჭრობა დაიწყა. უეცრათ ვილაკამ ბეჭედ ნახად ხელი დამქრა. უცბათ შემოვტრიალდი და თვალ წინ წარმომიდგა მშვენიერათ ჩაცმული, მოყვანილი, ლაზაზი ქალი. მე ვერ ვიცანი, მორიდებით მიეჩერებოდი. შემდეგ თვითონ მკითხა: „მუსიო რუსო, როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქი“. „მშვენიერებაა, სწორეთ საუცხოო რამ არის“-თქო—ვუპასუხე ძლიერ და თან უკვე ხმაზე ვიცანი, რომ ეს იყო ჩემი მასპინძელი ქალი. მაშინვე შეუბრუნე კითხვა: „სად იყავით ამ ალიონზე“-თქო — „ეკლესიაში“—მიპასუხა სერიოზულათ. მე ავდების ღიმილით ვუპასუხე— „ასე აღრე?“ „დიახ, დიახ, დიახ, მუსიო!“— მიპასუხა ჩქარა სერიოზული კილოთი და შევიდა კარებში. გავიარ-გამოვიარე და მალე შემოვბრუნდი ბინაზე. მასპინძელ ქალს ვკითხე, თუ სად შეიძლებოდა ჩაი დამელოა. მან ამიხსნა რომ მათ ჩაის სმა არ ქონდათ ჩვეულებათ და უნდა მეხარჯა რძე და ყავა. ყველაფერი თითონ გამომიწყა და შემდეგ მკითხა: „დღეს მანიფესტაციაა ყველა სოციალისტურ პარტიების და მუშების და არ წახვალ?“ მე ძალიან გამეხარდა და კარგათ გამოვკითხე ყველაფერი. მანიფესტაცია დანიშნული იყო პირველ საათისათვის. ისიც იყო გამოსვლას ვაპირებდი, რომ უცბად ვილაკ მუახნის, კარგათ ჩაცმულმა კაცმა გააღო კარები და შემოვიდა. ჩემმა მასპინძელმა ეს კაცი გამაცნო თვის ძმათ, რომელიც იმავე ქუჩაზე მეხუთე სახლში სცხოვრობდა. კოტა მუსაიფის შემდეგ ეს კაცი დამემშვიდობა და გავიდა. შევხედე ქალს და გამიკვირდა, რომ თვალები ცრემლებით ევსებოდა. ჩემ კითხვაზე თუ რა იყო მიზეზი მისი ცრემლებისა

მან მიპასუხა შემდეგი: „ჩემ ძმას, რომელიც ახლა აქ იდგა, ათი წლის ვაჟი უკვდება და მგონი საღამომდის გარდაიცვალოს. მიუხედავად ამისა ჩემი ძმა მანიფესტაციაზე წავიდა, რადგანაც მანიფესტანტების ორატორთა რიცხვში ურევია და მისი იქ ყოფნა საჭიროა“. გადავწყვიტე მანიფესტაციაზე წასვლა. ეკლესიის ზარებმა ისევ იწყეს გრილი. კიდევ დაიწყოლოცვა*), ეკლესიაში მრავალი ხალხი მიდიოდა, ახლა ახალგაზრდები და ბავშვებიც ბევრი ეროსა მლოცველებში. მე საჩქაროთ ჩავიციე და თორმეტ საათზე კითხვა კითხვით მივალწიე დიდ მოედანს, სადაც იკრიბებოდნენ მანიფესტანტები. საშინლად ამალელებელ სურათს წარმოადგენდა ეს დიდი მოედანი, რომელიც ორასი ათასი კაცით იყო დაფარული და სხვადასხვა გვარი დროშები, სხვადასხვა გვარი წარწერით ფიფინობდნენ ნიათისაგან. ყოველ დროშას წინ უდგა ჩასაბერი (духовая) მუსიკა. შესრულდა პირველი საათი. დაინძრა კორტეჟი. სულ წინ პოლიციელები ხელი-ხელ ჩაკიდებული, რაზმად მიუძღოდნენ და გზას უკაფავდნენ მანიფესტანტებს, შემდეგ მუზიკა, შემდეგ ბაირალები და უკან მანიფესტანტები სხვადასხვა გვარი ჰიმნით მოსდევდნენ. შემოვიდნენ შუა ქალაქში, შეჩერდნენ ერთ დიდ მოედანზე და დაიწყეს ორატორებმა სიტყვის წარმოთქმა. სხვათა შორის ჩემი მასპინძელი ქალის ძმაც შევნიშნე, რომ ავიდა მაღლობზე, თავის დროშის ქვეშ დადგა და მკეპარე ხმით ორატორობდა.

მეორე დღეს დილით გავიგე, რომ მას ავთიმყოფი შვილი მოჰკვდომოდა. გასვენების დღეს მრავალი ხალხი შეგროვდა ლონკის (გვარია მიცვალებულის მამის) ბინის წინ ქუჩაზე. აქვე იდგა შავათ მოწყობილი ბალდახინი. მე აღრიანათ ჩემს მასპინძელს შევეყვი მისი ძმის ბინაზე, რადგანაც ძლიერ მაინტერესებდა ამ სოციალისტის მოქცევა და სარწმუნოებრივი შეხედულობა. მიცვალებულის გამოტანამდი, როდესაც შეამჩნია ლონკმა მისი დანარჩენი სამი შვილის ქვითინი, საჩქაროთ წარსდგა წინ და იმედინი, სერიოზული სახით დაუწყო ბავშვებს დაროგება: „არ არის, საჭირო, შეიღებო, ტირილი და გულის ხეთქა. თქვენი ძმა წავიდა ჩემს დედმამისთან და, როდესაც დრო მოგვივა, ჩვენც წავალთ იქ. მეორე ქვე-

ყანაში, სადაც მარტო სულიერი ცხოვრებაა. აქური ცხოვრება ტანჯვაა, რადგანაც აქ ხორციელი ცხოვრებაა, — აქ ლონკმა იმდენად მოუმატა ხმას, რომ მეგონა მანიფესტანტების წინ იდგა და თავის მრისხანე ხმით ქადაგობდა. — „და ვინაიდან ტანჯვაა ქვეყნიერი ცხოვრება ამისათვის აქ უნდა ვიბრძოდეთ, აქ გვჭირია ბრძოლა ტანჯული ცხოვრების შესამსუბუქებლათ, მის მოსასპობათ, რომ აქ ვიცხოვროთ სანამ დრო გვაქვს“ ტუბილად და შეუწუხებლათ, და თუ თქვენ იტირეთ მე შეეწუხებდები, და თუ თქვენ გააგრძელებთ მაინც ქვითინს მე ხომ იცი“... აქ ლონკმა ბავშვებს უჩვენა ისეთი თვალი, რომ მაშინვე გაჩუმდნენ და გასწორდნენ. მაგრამ სამაგიეროთ ლონკმა მიიბრუნა პირი და თვითონ შეუმჩნევლათ ქვითინებდა. მე კინალამ ვამეცინა იმაზე, თუ რა საჭირო იყო ბავშვებთან ასეთ ფილოსოფიაზე მსჯელობა, მაგრამ, როგორც დავაკვირდი შემდეგში, საფრანგეთში ბავშს არ ერიდებიან, რომ აუხსნან და ემსჯელონ ყოველ-გვარ ფილოსოფიურ კითხვებზე. გარეთ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი იქა აქ გვირგვინებსაც დაინახავდით. მიცვალებული ბალდახინში ჩაასვენეს. ლონკი თავის შვილებით სულ ერთიანათ შავებში იყვნენ გახვეული. რამოდენიმე დღის შემდეგ ბაღში სეირნობის დროს ჩემი სახლის პატრონი ქალი და მისი ქალიშვილი ბაღში შემხედნენ. სკამზე იჯდნენ და წინ შავი ლენტეხით მორთულ კალიასკით ბავში ედგათ, თითონაც შავებში იყვნენ. პატარა კალიასკის მორთულობამ ძალიან გამაყვირვა და მიზეზი ვკითხე ჩემს ნაცნობებს. „ჩემი ძმის შვილის გადაცვალების გამო, მიპასუხა დიასახლისმა“.

ზ.

(შემდეგი იქნება).

*) დღეში (ყვირობით) რამოდენჯერმეა წირვა.

ს ა უ ბ რ ე ბ ი .

პეტრე: რა არის კაცი უსარწმუნოებოდ?

მღვდელი: ის მსგავსია იმ პირუტყვისა, რომელიც სცხოვრობს მხოლოდ ამ ქვეყნისთვის და არა იცის რა უმაღლესზე. ის არის სათამაშო თავის ვნებათა და გულის თქმათა. ის არის უბედური არსება, რომელიც არ იცნობს თავის თავს და არ შეუძლიან სხვების გავებას. ის მსგავსია გენისა ზღვაზე, რომელიც შიღის უმესაქეოდ და უკომპასოდ, ვიდრე არ შთაინთქმება განძინებული ტალღებით და არ დაიღუპება უფსკრულში. კაცი, რომელმაც არ იცის ღმერთი, და, მიშასაღამე, სცხოვრობს უსარწმუნოებოდ, აქვე, საქაოსვე იძენს მეტს ტანჯვას „ვიდრე რავდენიც შეუძლიანთ შესძინონ მას მისმა უბოროტესმა შტრებმა. რადან მოუტანს მას მოშავალი, როცა მოვა მისი აღსასრული? მაშინ შენ აღარ გკითხავენ, როგორ შეასრულე ეს შენი მოგზაურობა როგორც სწავლულმა და განათლებულმა კაცმა, თუ როგორც უბრალო შეზღულულმა კაცმა? არა გკითხავენ, როგორ გაატარე შენი დღენი, სიღარიბით, თუ სიმდიდრით, სიმამლირით თუ შიმშილით? აღარც იმას გკითხავენ, რავდენი ბედნიერება და უბედურობა გქონდა შენს საქმეებში? მაგრამ გკითხავენ, გქონდა თუ არა სარწმუნოება, ემსახურებოდი თუ არა ახოვნად და თავგანწირულებით ღმერთსა? და მიხედვით იმაზე, რუგორი პასუხიც იქნება, წახვალ ან საუკუნო სცხოვრებაში, ან საუკუნო სატანჯველში. ამ რიგად შენ ხედავ, რომ თვითონ შენი სარგებლობა ითხოვს, რომ შენ გულგრილი არ იყო სარწმუნოებაზე

თომა: ყველა ამას მე საკმარად ვხედავ, მაგრამ არ მინდა სიტყვა გაგაწვეტინო.

მღვდელი: გ) სარწმუნოება საჭიროა კაცისთვის, მიტომ რომ ამას მოითხოვს სიყვითე კაცთა საზოგადოებისა. კაცთა საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეუძლიან იარსებოს შტკიცედ და კეთილად, როცა მისს თვითუღოს წევრს აქვს სარწმუნოება მიტომ რომ, მართო კანონები და დადგენილებანი, ჯარის კაცნი და პოლიციელები, სასამართლოები და საპყრობილებები ვერ შეიკავებენ კაცებს წესიერს საზღვრებში. ისტორიას ეს ბევრჯერ დაუმტკიცებია. სრულიად ბუნებრივია, რომ იქ, სადაც არ არის ერთგულება ღვთისადმი, არ იქნება ერთგულება კაცისადმიც. ამაზე შტკიცედ დარწმუნებული იყო ჯერ ისევ წარმართი რიტორი ციცერონი, რომელიც სწერს: „მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა რომ იარსებონ ერთგულებამ და სიმართლემ კაცთა საზოგადოებაში, თუ სარწმუნოება დაკმულია“. საბერძნეთი და რომი მაშინ დაიღუპნენ, როცა მათში გაპქრა სარწმუნოება, როგორც გრძნობა შიშისა შშიდის და საღვთოს წინაშე. ვერც ფილოსოფიამ, ვერც საერო უფლებამ ვერ გადაარჩინეს ეს ძლიერი სამეფოები განზრწისა და დაღუპვისაგან. აი ამიტომ არის, რომ ბერძენთა მსოფლიო ბრძენი არისტოტელი სარწმუნოებას სთელის უმთავრეს და უპირველეს დაწესებულებად, ურომლოდაც არ შეუძლიან იარსებოს სახელმწიფომ. მეორე წარმართი ბრძენი პლატონი ამბობს: უმეცრება ყოველად შემძლებელის ღვთისა არის უდიდესი ბოროტება ყველა სამეფოთა. ამიტომ ვინც ასუსტებს და არღვევს სარწმუნოებას, ის ასუსტებს და არღვევს კაცთა საზოგადოების საფუძველს.

თომა: ეს ძველი წარმართები მართლაც რომ გვარცხვენენ, ჩვენ, ქრისტიანებად წოდებულებს.

მღვდელი: ეხლა ჩვენ ვხედავთ, როგორ საშიშოა კაცთა საზოგადოებისთვის მილიონობით უკმაყოფილო მუშები. ბევრსა ფიქრობენ და თავებს იმტყვევენ, როგორმე აიცილონ თავიდან ეს საშიშროება კანონმდებლობით და ვარეგანის ძალით. მაგრამ უსარწმუნოებოდ აქ ძნელი მოსალოდნელია გამარჯვება. მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლიან ანუგეზოს და შეარეგოს საწყალი შშრომელი მათ შიშივე ხვედრს; ამისთვის ის გვიჩვენებს ქრისტეს მაგალითს, რომელიც იყო უღარიბესი ძეთა კაცთასა და არა ჰქონდა საღა თავი მიედრიკნა; უჩვენებს მათ ზეცის ჯილდოს, რომელიც

აღთქმულია ყველა მავშრალთა და ტვირთ მიძიმეთათვის ქრისტეს მიმდევართა. სარწმუნოება ანთებს გულში სიყვარულს, ასე რომ ღვთის გულისთვის უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს და ემორჩილებიან კანონიერს მთავრობას. სარწმუნოება-და ეს უმთავრესია — ჰქმნის კაცში შინაგანს მშვიდობას და კმაყოფილებას, რომლის ნაკლებობაც ხშირად არის ხოლმე მიზეზი გარეგანის უკმაყოფილებისა. მე სულაც არ მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ მარტო სარწმუნოებას შეუძლიან დაიცვას კაცთა საზოგადოება მომავალის საშიშროებისგან. მე ამით მხოლოდ იმისი თქმამინდა, რომ უსარწმუნოებოდ ყველა სხვა ღონის ძიებებს ცოტასარგებლობა შეუძლიანთ. კაცთა საზოგადოება მტკიცედ და დიდხანს იარსებებს უსარწმუნოებოდ.

თომა: რომ მოისმენ ამ საბუთებს გიკვირს, როგორ შეიძლება გაჩნდნენ კაცებიც, რომლებიც ამბობენ, რომ კაცისთვის სარწმუნოება საჭიროარ არისო.

პეტრე: უფრო მეტად სცივდრები, როგორა სთვლიან მაღალ წრეებში სარწმუნოებას სახელმწიფოს მოწინააღმდეგედ და ავიწროებენ მისს მოქმედებას. მმართველობის სათავეში მდგომთ როგორც რიგია შეიგნონ ეს, მათ უნდა ყველა ღონე იღონონ, რომ ხელი შეუწყონ მას, მიტომ რომ ის არის ფრიად საიმედო ბურჯი სახელმწიფოსთვის.

მღვდელი: ცნობილია მეფის სიტყვები: „მეფენი არაფერნი არ არიან უტრაპეზოდ და უჯვროდ. მაგრამ მხედრობაც არაფერია უსარწმუნოებოდ.“

მეცხრა საღამო.

ღმერთმა თვითონ გამოუცხადა თავი თვისი კაცთა.

თომა: თქვენი უკანასკნელი აზრი, რომ კაცს უნდა ჰქონდეს სარწმუნოება, მე საქმით გამოვიყენე; დღეს ამ ზოგიერთი რამ თქვენგან ნათქვამისა უთხარი ჩემს ამხანაგებს. განსაკუთრებით მე უჩვენე მათ, როგორ უბედურია კაცი, რომელსაც არ აქვს სარწმუნოება, რადგანაც მხოლოდ ღმერთში შეიძლება ჰპოვო განსვენება და კმაყოფილება; ისინი გაჯავ-

რდნენ და დამიყვირეს: „ეგ ზღაპრები შენთვის შეინახე; ჩვენ განათლებული კაცები ვართ და გულმოდგინედ ვკითხულობთ ფურცლებს, რომლებიც სულ სხვას გვედუბნებიან. ჩვენცა გვაქვს სარწმუნოება და არა ვდენენით მას, მაგრამ ვამბობთ, რომ ეს ჩვენი პირადი საქმეა.“

პეტრე: მაგრამ როგორი სარწმუნოება? არის ისეთი სარწმუნოება, რომელიც გამოიხატება სიტყვებით. ქრისტეანს, ურიას და პროტესტანტს—ყველას სწამთ ერთი ღმერთი.

თომა: შენ სწორედ შენიშნე, მათ სრულიად არ უნდა სცნანთ, რომ ღმერთმა თვითონ გამოუცხადა თავი თვისი კაცთა, და რომ ქრისტიანობა არის სარწმუნოება ღვთისაგან გამოცხადებული.

მღვდელი: როგორც ქრისტიანები ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ იმაზე, რომ ღმერთმა გამოუცხადა თავი თვისი კაცთა. ამ ქეშმარიტების განსამარტავად მე ვაყენებ საკითხებს.

1) შესაძლებელია თუ არა გამოცხადება ღვთისა? 2) იყო იგი ნამდვილად თუ არა? 3) საჭირო და სავალდებულოა იგი ყველასთვის თუ არა? ამნაირად, მე ვკითხულობ:

1) შესაძლებელია თუ არა გამოცხადება ღვთისა? როგორ შეუძლიან ღმერთს ელაპარაკოს კაცს, როცა იგი სულია და მას არა აქვს სხეული. ასე კითხულობ ურწმუნო და ჰგონია, რომ ეს კითხვა ძალიან გონივრული და ხელმოწერიანია. უპასუხებთ: თუ უარგვაფით, როგორც შერებთან ურწმუნონი, პირადი ღმერთი, თუ ღმერთადუნდა იყოს ყოველივე, რაც არსებობს, მაშინ, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ ასეთმა ღმერთმა ილაპარაკოს კაცთან. მაგრამ ჩვენი ღმერთი არის პირადი, ცხოველი ღმერთი, რომელიც ზრუნავს კაცთათვის და ქვეყნისთვის და განაგებს მას, ის ყველას ხელმძღვანელობს და განაგებს და ჩვენს გულში დასწერა თვისი სჯული, - კანონი სვინიდისისა. ამ პირადმა ღმერთმა გამოაცხადა თავი თვისი ხილულს ქვეყანაში სვინდისის ხმით, მამასადამე ბუნებრივად, ასე რომ წარმართთაც შეუძლიანთ იცნან იგი და არაყის არ ეპატიება, თუ ის არ იცნობს ქეშმარიტს ღმერთს. ესლა ვიკითხავ

მე, რატომ არ შეუძლია ამ პირადს ღმერთს, სხვა საშუალებითაც აუწყოს კაცთა ჭეშმარიტება, მისცეს სჯული და კანონი? ნუ თუ მას, ყოვლად შემძლებულს არ შეუძლიან გვასწავლოს ჩვენ ბუნებრივად?

პეტრე: ვის შეუძლიან ამაზე ეჭვის შეტანა?

მღვდელი: რადგანაც ეს ყოვლადშემძლებელი ღმერთი ზრუნავს ყველასთვის და ყველაზე და სულ უმცირეს არსებობათათვისაც კი, შეუძლიან განა მას კაცი, ეს მეფე ხილულ ქმნილებათა დასტოვოს თავის ანაბარად სულ უდიდეს საგნებში, სარწმუნოებაში, მის ვალდებულებათა აღსრულებაში და მისი ცხონება მიატოვოს უბრალო შემთხვევის ამარად, და ამ რიგად, ჩააყენოს ის დიდს საშიშროებაში? როგორღა იარსებებდა მაშინ ღვთის განგება, რომ ღმერთს კაცი უყურადღებოდ დაეტოვებინა ყველა დიდ და სერიოზულ საკითხებში, რომლებზედაც დამოკიდებულია მისი ცხონება? რადგანაც ღმერთი არის არსება დაუსრულებელი, მას შეუძლიან აუწყოს კაცს ისეთი ჭეშმარიტებანიც, რომელთამდე ვერადროს ვერ მიაღწევდა შექმნილი გონება. შემდეგ, რადგანაც ღმერთი არის დაუსრულებელი სიყვარული, ამიტომ მას შეუძლია მიიზიდოს კაცი აჩვენოს მას სიყვარული და აუწყოს მას ზებუნებრივი ჭეშმარიტება და მიიზიდოს უშინაგანეს ერთობაში. მაშასადამე, გონიერ კაცს არადროს არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს ღვთის განცხადების შესაძლებლობაში. მითუმ რომ, ვისაც სწამს პირადი ღმერთი, ის უნდა დათანხმდეს, რომ ასეთს ღმერთს შეუძლია კაცთან ღაბარაკიც. მაგრამ, თუ დამტკიცებულია, რომ ღმერთი ეცხადება კაცს, მაშინ საკითხი განცხადების შესაძლებლობის შესახებ აღარ არის პრაქტიკული. ამიტომ საკითხია:

2) იყო თუ არა მართლა ღვთის განცხადება? „მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყუადა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანასკნელთა დღეთა გვეტყუადა ჩვენ ძისა მიერ თვისისა (ებრ. 1, 1.). რასაც აქ მოციქული ბრძანებს,

იმას ისტორიაც ამტკიცებს, სახელდობრ, რომ ღმერთი მრავლით კერძო და მრავლით სახით ეტყუადა კაცთა. ყველა წარმართ ერთა შორის ჩვენ გვხვდება კვალი, ძველი პირვანდელი განცხადებისა, რომელიც ხედათ პირველ მამათა სამოთხეში. ჩვენ არ გვხვდება არც ერთი ერი, რომელიც ისე ველური და ბრიყვი იყოს, რომ მის რწმენაში და სარწმუნოებრივ ჩვეულებებში არ იყოს დარჩენილი კვალი უწინ დაკარგულის ჭეშმარიტებისა. უწინდელი წარმართი ფილოსოფოსები, მაგ. არისტოტელი, პლატონი, რომლებიც ქრისტეს შობამდე ბევრით ადრე სცხოვრებდნენ, ღმერთთა შესახებ, მოძღვრება მიაჩნიათ როგორც ძველი საღვთო გარდმოცემა, როგორც ნაშთი ძველის სიბრძნისა, რომელსაც სამართლიანად სთვლიდნენ საღვთო განცხადებად“.

(შემდეგი იქნება)

უოველთვის და უოველგან დაშორება!

ძნელია ყველა იმ დამცირებების აღწახევა, რასაც სამღვდლოება განიცდის ყოველგან და ყოველთვის. სამღვდლოება, როგორც წოდება, არც ერთ დანარჩენ წოდებაში თანაგრძნობას არ იწვევს. ყველა მას სკინის, სდენის, ავიწროებს და, თუ საშუალება მიეცა, მიწასთან ასწორებს.

მღვდელს, როგორც ასეთს, თითქმის ადამიანთაც აღარ სთვლიან. ეხლანდელი შეხედულობით თუ ანაფორა ჩაიკვიტ და მღვდლათ წახველით, მაშინ ვითომც უოველივე ადამიანობა, ყოველივე კარგისადმი მისწრაფება, ყოველივე იდეალი, გრძნობა ხალხის სიყვარულისა და სამსახურისა ვითომც და უარყავით, დაკარგეთ!.. საქმე იქამდინაა მიღწეული, რომ სათაკილოდ და სამარცხვინოდ აქვთ მიჩნეული მღვდლობის მიღება. განათლებულსა და შეგნებულ ახალგაზრდა ქართველს რომ მღვდლათ წასვლა უჩიო, ქვა-გუნდის მოგაყრიან, სასაკილოდ აგიგდებენ და ჯგუნურად, სულელად დაგსახვენ.

აქვთ რა ასეთი უკულმართი შეხედულება სამღვდლოებაზე, ამიტომ ყველა სხვა თვა-

ლით უყურებს მის წარმომადგენლებს. ვსთქვათ, სადმე საზოგადოებაში მოხვდით, — ყველა ალმაკერათ, ირონიულათ შეგტკერისთ, ძლიერ ახლო მეგობრის მეტი ახლოს არავინ გეკარება; არავის უნდა შენთან გაცნობა, შენთან დაახლოება... ვსთქვათ, რაიმე მსჯელობაა და შენ შენი აზრი წარმოსთქვი, — მაშინ ყველას რაღაც სიბრაღულის ღიმილი გადაჰკრავს ხოლმე პირზედ, ვითომ რაო და — ეს რა სისულელე წარმორთშაო. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ, მღვდელმა, სთქვი, და იმავე დროს ეს შენი აზრი, რომ ვინმე სხვას, გარეშეს, წარმოეთქვა, შეიძლება ტაშის ცემითაც კი დაეჯილდოებიათ. მე მოგახსენებთ ფართო, საზოგადო მოვლენაზედ. თორემ გამონაკლისს ბევრი შეადგენს.

ამგვარად ყველა ჩვენ დაგვიცინის, ყველა ჩვენ გვდევნის და გვამცირობს, როგორც კერძო ოჯახებში, ისე საზოგადოებაში, მაგრამ ყველა ესენი სულ ადვილი გასასწორებელი და თავიდგან ასაშორებელია, თუ თვითონ სამღვდელოება გულმოდგინეთ შეუდგება მათ გამომწვევ მიზეზების აღმოფხვრას. ვეცდები ამ საგანს სულ მოკლე დროში დაუბრუნდე, რომ უფრო კარგად დაეასურათხატო ეს საკითხი. ეხლა კი მინდა მკითხველის ყურადღება მიექცეო ჩვენ დამცირება-შეურაცხყოფას არა კერძო საზოგადოებაში და ოჯახებში, არამედ იქ, სადაც სრულიად არ უნდა მოველოდეთ და სადაც ყველა თანასწორი უნდა იყოს. მე მოგახსენებთ სახელმწიფო დაწესებულებების შესახებ. აქაც აბუჩად გვიგდებენ და ყურსაც არ იბერტყვენ ხოლმე ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებების ასრულების შესახებ: რასაც უბრალო „კაკარდოსანს“ ერთ წამს გაუკეთებენ, ჩვენ ორ-სამ დღესაც არ გვადირსებენ ხოლმე.

დავანებოთ თავი ყოველივე იმ ტანჯვა-წვალებას, რასაც უმეტეს ნაწილათ განიცდის ჩვენი სამღვდელოება მამასახლის-ბოქაულო-მაზრის უფროსის კანცელარიებში და მოვიგონოთ ის აბუჩათ აგდება და დამცირება, რასაც იმერეთის სამღვდელოება განიცდის ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში.

ოჰ! ეს წამები რომ გამახსენდება გრუანტელი მივლის ტანში და დარწმუნებული ვარ ზიზლით მოიხსენიებს ამ წუთებს მათი მოძგონე იმერეთის სამღვდელოებაც. ძნელია ყველა იმ ზნეობრივ დამცირების აღწერა, რასაც ჩვენ იქ, ხაზინაში, განგვატყვევებენ ხოლმე. ეს თვითონ უნდა გამოსცადოს კაცმა, რომ იგრძნოს ჩვენი მდგომარეობის სიმწვავე.

მოდინარ ქუთაისში რამოდენიმე დღის საუღელიდგან, რომ აილო მცირეოდენი გროშები და მოდინარ არა 20-ს, არამედ თვის პირველ რიცხვებში, როცა შედარებით ნაკლები საშუალო აქეთ ხაზინის მოსამსახურეებს. დარწმუნებული ხარ მალე განთავისუფლდები და მიაშურებ მიტოვებულ ოჯახს და სამწყსოს. მაგრამ შენც არ მომიკვდე... ქუთაისის ხაზინაში გვხვდება ბ. კო-ვი და მისი კომპანია, რომლებიც ვერ შეგეღვევიან შენ რომ ფიქრობ, ისე ადრე. მიდინარ მასთან, უღებ წინ საჭირო ქაღალდებს და იმედობ, რომ აი ეხლა მოკიდებენ ხელს და შეუდგებან საქმეს და აი ეხლაო, მაგრამ სულ ტყვილა იმედობთ. მათ მოუღუშავთ წარბები და აბოლებენ თამბაქოს, თითქოს ვერ გამჩნევენ. ხარა ატუხული იქვე და ლოდინობთ. ბოლოს ლოდინიც გწყინდებათ და მორიდებით აგონებთ თქვენს იქ ყოფნას, არსებობას. მაგრამ იმისანა თქვენს მტერს. ერთს ისე შემოვიბღვერენ, რომ იძულებული ხართ მოშორდეთ იქაურობას, მოიკრუნჩხოთ სადმე კუთხეში და უცადოთ იმ სანეტარო წუთს, როცა ბ. კ-ვებს მოესურვებათ წყალობის თვალით შემოხედვა და გასტუმრება.

ვსთქვათ, თქვენ ქაღალდში რაიმე შეცდომა შეგპარვიათ. გადმოვიგდებენ უკანვე და არ ავიხსნიან, თუ რა არის შიგ შეცდომა და როგორ გაასწოროთ და ხშირად ამ გაუგებრობაში კარგავთ კარგა ბლომათ დროს.

რიგი, რომელიც ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს, აქ, ხაზინაში არ არსებობს ხოლო არი ყველასთვის. არამედ მარტო ჩვენთვის. წარმოვიდგინოთ, მოხდა სასწაული და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დაიწყეს ჩვენი საქმეების შემხადებაც. ჩვენც იქვე ვგროვდუ-

ბით, რომ მზათ ვიყვეთ და უცლით ჩვენ-ჩვენ რიგს. ამ დროს მოდის ვინმე „კაკარდოსანი“ და ჩვენ შივიწყებული ვრჩებით, რადგანაც სკდილობენ მას ასიამოვნონ და თავდაპირველად იგი გაისტუმრონ; მას მოყვება მეორე, მეორეს-მესამე და ასე მუდამ. და რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ჩვენ საწყალი „მაჩანჩალა“ სოფლის ხუცები ვართ.

ეს მეორდება ყოველთვის და ისე თვე არ გავა რომ რომელიმე მათგანთაგან შეტაკება არ მოუვიდეს ვინმე ჩვენგანს, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს ზემო ნახსენები კამპანია

ასე გვექცევან ათა მარტო ჩვენ, მღვდლებს, არამედ ჩვენ უწყებაში მოსამსახურებრებსაც კი. მაგ. ამ ორი წლის წინეთ ჩვენი კანცელარიის მოსამსახურე ბ. მ—მა მთლათ შეძრა იქაურობა, რადგანაც მას, როგორც სასულიერო უწყებაში მოსამსახურეს, არაერთა-რი უურადლება არ მიაქციეს რაღაც საჭირო საქმეების გაგების დროს. მის ხმაურობაზე ხაზინის უფროსიც კი გამოვარდა საზოგადო ზალაში და მხოლოდ მერმე დაუფაცურდნენ.

ასეთ ტანჯვა-წვალებას და დამცირებას განვიცდიდით ამ სახელმწიფო დაწესებულებაში ყოველთვიურად. ჩვენ უწყებაში რომ მათ რაიმე ამ გვარი ხედებოდეს ხოლმე, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ საეპარქიო მთავრობას ყოველდღე შეაწუხებდნენ ამა თუ იმ დაწესებულების უფროსები მოწერილობებით, რომ ჩვენ ჩინოვნიკებს უზრდელათ და უდიერათ ექცევი-თო. რითი შეიძლება ყოველივე ამის გასწო-რება? სხვა საშვალეებში საუკეთესო საშვალე-ბათაგანი იქნება, რომ ჩვენი საეპარქიო მთავ-რობა ამას ყურადღებას მიაქცევდეს და აცნო-ბებდეს ხაზინის გამგეს ამ ანორმალობას და წინადადებას მისცემდეს საჭიროების დროს ჩვენ ნუ გამოგვარჩევენ სხვა პირებისაგან.

მღვ. სევ. კველიძე.

აწინადადებების კარდაცვალების კამო.

როდესაც რომელიმე ერი საზოგადო მო-ღვაწის გარდაცვალებით ღონდება და მწუხა-

რებს, მოწინავე პირების დაკარგვით ვალაღებს და აფრქვევს მწუხარების ცრემლებს, ის ერი ცხოვრებას არ ჩამორჩენია, მისი დღეები არ ჩამოთვლილა და, როგორც გრძნობიერი და მოქმედი, შემდეგშიაც იცოცხლებს და დაი-ჭერს საკუთარ ადგილს სხვა ერთა შორის. ასეთ ნიშნებს ვხედავთ ჩვენ ქართველი ერის ცხოვრებაში და ხალისი გვიძლიერდება სამოქ-მედოთ იმ მოსაზრებით, რომ ოდესმე, თავი-სუფლად ამოსუნთქვისას, იგი მოიგონებს თავის ჭირისუფლებს, კეთილად მოიხსენებს მათ სახელებს და ეს ხომ დიდი ჯილდოა ყოველი მოღვაწისათვის, რადგანაც, რუსთველისა არ იყოს, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველისა მო-სახვეჭელსა“.

რომ ქართველი ერი გოდებს და ტირის მოწინავე პირების დაკარგვას, ეს ცხადად და-გვანახა არა ისეთ დიდებულ პირთა გარ-დაცვალებამ და დატირებამ, როგორც იყენენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი, იაკობ გოგებაშვილი და დღეს არ-ჩილ ჯორჯაძე, არამედ მეორე დარგის, ქველ-მოქმედთა დაკარგვისა გამო გამოწვეულმა მწუ-ხარების ცრემლებმა, როგორიც იყენენ და-ვით სარაჯიშვილი, ნიკო ლოლობერიძე და სხვანი... სჩანს ქართველი ერის შაჯა მარჯვედ სცემს, სჩანს აქ სიციცხლე სდულს და მიე-სწრაფება საუკეთესო მომავლისაკენ, უბრწყინ-ვალეს ბედნიერებისკენ... დიახ ეს ასეა და ამას მეტის სხივოსნობით გვიმტკიცებს მალაღ-ლო-ნიერი და ღრმა ფილოსოფიით აღჭურვილი სასიქადულო არჩილ ჯორჯაძე, რომელიც მთე-ლი თავის არსებით არის და იქნება დიდება ქართველის ერისა.

არჩილის ცხოვრება და მოღვაწეობა თუმ-ცა ხანმოკლე იყო, მაგრამ სამაგიეროდ შინა-არსიანი, — მან მეტი იმოქმედა ვინემ იცოცხლა, და ეს არის მიზეზი იმ თანაგრძნობისა და გლოვისა, რომელიც ამოიწვია მისმა დაკარგვამ მთელს ერში განურჩევლოდ წოდებისა და რწმენისა. და მართლაც არჩილ ჯორჯაძის მოვლენა ქარ-თველი ერის ცხოვრებაში ხაზგასმით აღსანიშ-ნავია სწორედ ისე, როგორც წარსულ საუკუ-

ნის სამოციან წლების მოღვაწეთა მოვლენა. ბევრი რამ დაიწერა არჩილის გარდაცვალების გამო, სადაც აღინიშნა მისი პიროვნება, მაგრამ ის დიდი მომენტი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ხანა ქართველი ერის ცხოვრებისა, რომელიც მან შეიგნო და გაარკვია თუ არ ფაქტით, თვალსაჩინოდ არავის აღუნიშნავს და ამ გარემოებას მსურს, მკითხველო, მივაქციო თქვენი ყურადღება.

მოწინავე, ანუ ბრწყინვალე წოდება ქართველი ერისა წარსულ საუკუნეში გამსჭვალული იყო იმპერიალიზმით, მისის გაძლიერებით და ქართველი ერის უძღურების აღსარებით (გიორგი მუხრანბატონი და სხვანი). ბრწყინვალე წოდების ზოგიერთი წარმომადგენელი, როგორც გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, თუმცა ხანდახან მოსთქვამდნენ საქართველოს მწარე ბედს, მაგრამ ეს მოთქმა იყო გამოწვეული პოეტურის აღმაფრენით, რომლითაც დაჯილდოებულნი იყვნენ ეს პირნი, ხოლო საქმით, შეგნებული მოქმედებით მათ არაფერი არ გაუკეთებიათ საქართველოსათვის. იმპერიალიზმის ტრფილება თანდათან იზრდებოდა და ბოლოს დაგვირგინდა ცნობილი დავით მელიქიშვილის აქტით. ამავე დროს მდაბიო ერს ეძინა ღრმა ძილით, თუმცა კი არ მომკვდარიყო, როგორც ახასიათებს ამ დროს პოეტი:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...

და სულ მკირე რჩეული ნაწილი ბრწყინვალე წოდებისა დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მეთაურობით მოვლენოდა ამ მძინარე ერს დიარაჯად და ჭირისუფლად. პირველი, ესე იგი დიმიტრი ყიფიანი იყო უფრო პრაქტიკულად მოქმედი და დარაჯი გარეშე მოვლენილ მტერთაგან, ხოლო დანარჩენნი კი თეორეტიულად ჩამგონებულნი და აღმზრდელი ქართველი ერისა; ესენი იყვნენ აღნიშნული დროის იერემია წინასწარმეტყველნი, რომელთაც თავიანთი გრძობიარე გოდების კილოთი კიდევაც აგრძობდნენ ქართველ ერს თავის ვინაობა და გამოარკვევს ღრმა ძილისაგან. შინაური უთანხმოება და აზრების შეტაკება ქართველ ერში ჯერ არ ყოფილა, თუმცა 1890 წლიდან წამოყო თავი დასვლების აზრთა სხვადასხვაობამ. ერთ თითქმის შემზადებული იყო ცხოვრებაში

აქტიურ მონაწილეობის მისაღებად და ამ დროს მოხდა დავით მელიქიშვილის აქტი... როდესაც ეს აქტი სრულდებოდა თბილისში წვიმიანი და ბურუსიანი დღეები იყო და დაღონებულმა ილია ჭავჭავაძემ თავის რედაქციაში, ამ სტრიქონების დამწერის თანდასწრებით, ასე დაახასიათა მაშინდელი მოქმედება: „დახე, ქართველების სიბეცეს! ბუნებაც კი სტირისო“.

ასეთ მდგომარეობაში იყო ქართველი ერი მომავალი საუკუნის დამდევს, როდესაც არჩილ ჯორჯაძე უცხოეთში სწავლა-მეცნიერებას იძენდა თავის სამშობლოს სასარგებლოდ და სანუგეშოდ.

1905 წლიდან ქართველ ერში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი; წარმოიშვა სხვადასხვა მიმართულებანი, აირია ერი, ცხოვრება ადუღდა, აბობოქრდა... ეროვნული საკითხები თითქოს მიიმაღნენ და დაიკარგენ... დიდი და პატარა, მეცინერი და უმეცარი მუცელზე იცემდა ხელს და გაიძახოდა ეპიკურელებივით: კუჭი, კუჭი!! ამას ვუშველოთ, არ მოშივედსო და შენი საქართველო და ქართველი ერი ვიღას ახსოვდა; აკი დევიზიც ასეთი იყო: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეროვნების დამცველნი ქართველ ერში ქვეყნის მტრად მიაჩნდათ და აღმაცერად უყურებდნენ, თავად-აზნაურობამ, როგორც დევნულმა, არ იცოდა რა ექნა, სამღვლელოება დაეცა, დაეკარგა თქმის ხალისი და მოქალაქობრივი გამბედაობა, სამშობლოსადმი მოვალეობას არას დასდევდა და სოროში მიმალული ღამურასავით მოსთქვამდა თავის უბედობას, ხოლო რაოდენიმე „სტომაქისათვის“ უარყოფილებს შეუერთდნენ... სასოწარკვეთილებამ მოიცივა მოხუცებულნი ბელადნი ქართველი ერისა და ვერაგულად დახვრეტილს ილიას გვამს ასე დასტიროდნენ: „თუ საქართველოს სიკვდილი უწერია, ნეტარება შენ, რომ წინაუსწარ სამშობლოს სიკვდილს და შენის თვალით ვერ იხილავ იმის დაღუპვას, რასაც შესწირე შენი სიცოცხლეო“. ასეთ მდგომარეობაში იყო ქართველი ერი, როდესაც მფარველ ანგელოზად და გზის მაჩვენებლად მოვევლინა მას არჩილ ჯორჯაძე. ამ ღრმად განათლებულმა და დიდბუნებოვანმა ახალგაზდა გმირმა გაბედულად ამართა ეროვნული დროშა და თამამად დაიძა-

ხა: შესდევით!! სცდებით!! საქართველო არ მოკვდება!! როგორც უტყუარმა გულთამბილაფმა იცნო. შეიგნო სულის კვეთება და ცხოვრების ალლო ქართველი ერისა, მიაგნო იმ სატყვიარს, რომლისაგან ეჭირვებოდა განკურნება სწულთ ერს; ამ ერის მთელი წარსული და ნაზრევი გონების ცხრილში გაატარა, აწონდაწონა და უთხრა საქართველოს: სცდები, წარსული და აწმყო გიმტყიცებს, რომ შენ არ გამოგლევია სიცოცხლის ძალა, შენ შეგიძლია იცხოვრო საკუთარის ცხოვრებით, შენ შეგიძლია შენი საკუთარი „მე“ თამამად წაუყენო წინ სხვა კულტურისან ერებს; — მხოლოდ იმრომე, იმოქმედე, სწორე გზას არ ასცდე და სასწორმხედველოდ გაახილე შენი თვალებიო.. სწორ გზას არ ასცდე, და ეს გზა თვითონ გვიჩვენა, თვითონ, საკუთარის მალაღონების წერაქვით და თოხით გაგვიკათა ეს ეროვნული გზა; სულ მცირე ხნის განმავლობაში მალაღონების სალი ნამუშევარი ყველამ შეიგნო, თვით მოწინააღმდეგე ბანაკმაც, როგორც თვით აღნიშნა წარსულ წელში და დასძინა: რომ ყველა ჩვენი მიმართულების მოწინააღმდეგენი ახლო მომავალში შეინანებენ თავიანთ მოქმედებას და ჩვენს ბანაკში გადმოვლენო; ამას აშკარად ვიტყვი, ამის ნიშნებს ვხედავ, ამაში პასუხის მგებლობას მე ვღებულობ ჩემს თავზეო.

საქართველოს ბევრი ისეთი შემთხვევანი განუცდია, რომელნიც უქაღოდენ მას აღგვას პირისაგან ქვეყანისა; საბედნიეროდ მისთვის განგებას მოუვლენია სახელმწიფოს და ეროვნების დამცველნი გმირნი: მეფენი: ფარნაოზი, ვახტანგ გორგასლანი, დავით კურატპალატი შესანიშნავი ქართლის ერისთავით იოანე მარუშმძეთი, დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე. ხოლო 1905 წელი ქართველი ერის ცხოვრებაში წარსულ გარემოებათა უსასტიკესი თუ არა, ნაკლები არ ყოფილა. აღნიშნულ დროს შინაური განხეთქილება და ეროვნული უარყოფა სუფევდა და ამ დროს გამოიწნა არჩილ ჯორჯაძე, რომლის გონიერული სიტყვა ყველას გულს მოხვდა, ყველამ შეიგნო და მის მიერ გათელილ გზაზე მიემგზავრება გონიერულად და დაკვირვებით. წარსულ საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მოქმედება დიდი და ფასდაუდებელია მთელი ერისათვის, მაგრამ მათი ღვაწლი იმოდენად არის დასაფასებელი რაოდენადაც ამხილეს დამინებულნი ერთი და გამოარკვეეს ძილისაგან, ისინი გარემე მტრებისგან იცავდენ ქართველ ერს,

ხოლო შინაური განხეთქილება, რაც უფრო მწვავეა და ძნელი ჩასაქრობი, მათ არ გადალბებიათ წინ. არჩილ ჯორჯაძე კი მით არის თაყვანსაყვამი და ღირსი გმირის სახელისა, რომ შინაურ განხეთქილების დროს, ამ ეროვნების უარყოფის ვამს, აღიმაღლა ხმა, აილო დროშა ეროვნებისა და აჩვენა ერს ცხოვრებისადმი მიმყვანი გზა.

მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა ნაზრევის მიუდგომელი და პატიოსანი სინტეზი საჭირო იყო, აუცილებლად საჭირო იყო ქართველი მოზარდი თაობისათვის და ეს ნაკლი ჩვენის ლიტერატურისა შეძლებისდაგვარად შეავსო არჩილმა; ამ სახით ქართველ საზოგადოებას გაუწია, მან ის საშახური, როგორც ბელინსკიმ, პისარევმა და დობროლიუბოვმა რუსებს. დასამტკიცებლად იმისა, რომ აგი ჭეშმარიტი ქართველი იყო და იქნება ამიერიდან უკუნისამდე მთელი მისი ნაწარმოებნი უანდერძა ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. და ასეთი ადამიანი აღარ გვყავს დღეს, იგი მიფარა საქართველოს მზეს; გარდაიცვალა და არ მომკვდარა; მან ცოტა იცხოვრა, მაგრამ ბევრი გააკეთა... დიდება შენს სახელს ახალგაზდა გმირო!!.

ივერიელი.

**ზონტოელ პილატეს რაპორტი
რომის იმპერატორ ტიბერიოსისადმი შესახებ
იესო ქრისტეს ჯვარცმისა.**
(დასასრული*).

წერილი ესე მიწვენილ იქმნა რომს შინა კეისართან და აღმოიკითხეს და განისმა ესე ანბავი: სიმრავლე ქალაქისა განკვირდა, და დიდებულთა და მთავართა მოახსენეს კეისარსა: თვით ჰყრობელო კეისარო! ვტიცავთ თავსა დიდებულებისა შენისასა, რომელ ფრიადი დიდი ბოროტი უქმნიეს ყვრძოთ მთავარსა პილატეს რომელსა ევე ვითარი კაცი მართალი მიუცემიეს სიკვდილად, და ესოდენი წარცმულობა და განსაცდელი მოვიდა ქვეყანასა ზედა იქვენსა, უსამართლოებითა გამო მსაჯულისა, ნუ თუ ქრთამითა და ანგარებითა უპატიო ჰყო, პატივი ფლობელობისა თქვენისა, და ჰყო წინააღმდეგ ყოველთა ბრძანებათა

* იხ. შინ. საქ. № 14.

თქვენთა. ოდეს ესმა ესე მეფესა რომაელთასა, აღესილ იქმნა მწუხარებითა და ბრძანა გუნდისა ერთისა სამხედროისა განმზადება დიდითა მუქარითა და წარავლინა მსაჯული ვინმე ძალითა თვისითა იერუსალიმად, რათა მსწრაფად ჰსცნას ქრესტიანობა საქმისა ამის იერუსალიმის შინა.

ხოლო მივიდა რა იერუსალიმად მსაჯული ესე დასჯდა სამსჯავროსა შინა და ბრძანა მოწოდება ქალაქისა მის სიმრავლისა მკირილგან დიდადმდე, და მათ თანა პილატეცა მოიხმო წინაშე თვისსა და რქვა მსაჯულმან:

ჰოი პილატე! რაი იგი მიზეზი რაპორტისა შენისა მარქვი მე, რაისათვის მოახსენე შენ იგი მეფესა და ვინ გაიძულა უსამართლოებისა ქმნად თვინიერ ბრძანებისა კვისრისა ჩვენისა?

მიუგო პილატე: არა თავით თვისით მიქმნიეს ესე, არამედ იძულებითა და უსამართლოებითა და არა ნებითა ჩემითა. ჰრქვა მსაჯულმან: ვინა იქმნა მიზეზი მაგისა და ანუ ვითარ?

მიუგო პილატე: მე უწინარესვე მრავალთაგან, რომელ კაცი იგი მართალი და უცოდავი იყო, გარნა ამოოდ აღმაშფოთეს ერთა მათ.

ჰრქვა მსაჯულმან: უკეთუ ესრედ იყო ვითა შენ იტყვი, რასათვის დასაჯე ეგე ვითარი კაცი მართალი, რომელსა შენ ჰსცნობდი ქვეყანისა მაშენებლად და სიცოცხლისა მიმნიკებელად?

მიუგო პილატე: მე არა თავით თვისით მიქმნიეს ეგე. ჰკითხე ერსა ამას, ვინა მათგანი იქმნა პირველი მიზეზი კაცისა მის წარწყმედისა, რომელთაცა აღიღეს სისხლი მისი თავთა მათთა და ძეთა მათთა ზედა.

ბრძანა მსაჯულმან: მარქვთ მე ქრესტიანობა, ვინა იმოქმედა ბოროტი ესე და მათ ყოველთა დუმნეს?

მაშინ ჰრქვა მსაჯულმან: ეფუცავ ღმერთთა და თავსა კვისრისასა, უკეთუ არა გამოჩენით მიჩვენოთ თქვენ, კაცთა მათთვის მოვადლონ თქვენ ზედა დიდსა ბოროტსა და აოხრებსა, და გყოფთ თქვენ ყოველთა ტყვედ და ერთბაშად აღგფხურით სამკვიდრებელით.

მიუგო პილატე: ჰოი, მსაჯულო! გეტყვი: მრავალ გზის გამოვიძიე კაცი იგი და ვერა რაი შევოდება სასიკვდილე ვჰპოე მის შორის, ვევედრე ერსა ამას და ვარქვ: ვერა ვებდე კაცსა ამას ღირსად სიკვდილისა, განვწვრთნი ამას და განუტევებ დატუქსითისა სიტყვითა, და ვერა რაი მოვაწონე ამათ. აწ წინაშე თქვენსა არიან და უკეთუ სიკვდილისა მიზეზი ჩემ მიერ არს. უბრძანე ერსა ამას ქვა დამკრიბონ მე.

ჰრქვა მსაჯულმან: სიმრავლენო ერისანო! რასათვის არა რას მიუგებთ?

მაშინ სიმრავლემან ქალაქისამან აღამაღლნა ხმა ღაღადებისა და სთქვა: მსაჯულო! გუწუხოს ესე თქვენ და თქვენთანა მყოფთა, ჩვენ დღემდი არა რაი ნაკლულევენება შეგვრჩენია, გვიძლეფია ხარჯი. და წინააღმდეგ მართებლობისა არა რაი გვიქმნია. ყოველი სამართალი და გამოსაღები განგვიღია და ჩვენ მხოლოდ ამისთვის ვმსახურებთ ხორციელთა ყოველთა, რათა ჩვეულება და საქმე სარწმუნოებისა და ღვთისმსახურებისა დავიცვათ ცხადად და არა ფარულად თვინიერ შიშისა და კრძალვისა... და ესე ჩვენ ნამდვილად უწყით და აღმოგვიკითხავს ჰსჯულთა და წინასწარმეტყველთა შინა, რომელიცა გვამცნებს ჩვენ მამათა ჩვენთა ძის ძემდის, რამეთუ მომავალ არს სიტყვა ღვთისა ზეით, და მართებს განხორციელება წმიდისა ქალწულისაგან და განკაცებად ჩვენდა მსგავსად ქვეყანასა ზედა ვითარცა კაცი ვიდოდეს, და ესე ყოველი კანონიერად ჰსწერია და გვიპურავს მტკიცედ და აღმოგვიკითხავს. რომელი გვაუწყეს წინასწარმეტყველთა და ვისმინეთ, რამეთუ დროსა შეექვსესა თავსა წლისასა მომავალ არს ქრისტი, გარნა მიზეზი მისი ვერა ვსცანით და ვერა გავიგეთ დღე და ჟამი მოსლვისა მისისა, არამედ ვართ და მოველით მას, რაცა წინასწარმეტყველთა აღგვითქვეს, რომელსაცა მართებს სრულ ჰყოფა, ოდეს მოვალს მაკხოვარი ჩვენი. გარნა ამას ვერა ვსცნობთ სით მოვალსა დედასა და მამასა მისსა ვსცნობთ, ჩვენ შორის და ესე აღმოჩნდა ფარულად და შემდგომ

მად მისსა არღარა გამოჩნდა ჟამსა მრავალსა. ოდეს შეიქმნა ოც და ათისა წლისა მოვიდა და ნათელ ილა და ვიხილეთ იგი მსწრაფლ გლახაკად და სახითა გონჯითა და შეურაცხითა ქვეყანასა შინა ჩვენსა, რომელმანცა კაცნი ათორმეტნი აღიბრძინა ვალილით მოწაფედ, და მათით ყოველნივე დაიმორჩილნა, რომელ მოკვი იყო და მაცთურ და შატყუარებითა სძლევდა და უღონოთა გვამთა და მტაცობითა სრულ ყოფდა კაცთა მაშენებელთა და ტკბილისა სიტყვითა აწონებდა მათ, ნუ უკვე ბოროტი იყო საქმე მისი, რომელსა მოქმედებდა თვალთა წინაშე კაცთა, არამედ წინააღმდეგ და მტერ იყო ნათესავისა ჩვენისა. და რაოდენსა რას აღასრულებდა, მარადის შაბათსა შინა, და იყო ყოველთა მაცუედრებელ და შეურაცხის მყოფელ ვიდრე ვერღარა დავითმინეთ; სიმრავლე კრებულისა აღვადგინეთ მას ზედა და მივეციტ ხელთა მსაჯულისათა. მაგას არა რაი შეცოდება აქვდა. ჩვენ ფიცით ვარწმუნეთ და სიყვარულით ვითანხმეთ მსაჯული ესე, და ამან რაიცა გვიბრძანა იგი ვჰყავით, და არა რაი თავით ჩვენით გვიქმნიეს, არამედ ბრძანებითა მსაჯულისათა.

მაშინ ჰმსაჯული განრისხდა პილატესა ზედა და ჰრქუა: განმგზავრე კეისროსად რომს შინა, შემდგომად ბრძანა მსაჯულმან. და შთასევს საპყრობილესა დიდებულნი თავადნი და მთავარნი მის ქალაქისანი, მღვდელნი, მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი, რომელთაცა ჰსტანჯავდიან გვარად გვარადისა ტანჯვითა; რამეთუ განპარსეს წვერნი და თმანი თავისანი, აღიღეს სიმდიდრე განძისა მათისა და კერი ტაძრისა სიწმინდისა და ბომონისაცა მათისა წარტაცებულ იქმნა; და პილატე შეკრეს შესაკრავითა რკინისათა, შთაუგდეს კისერს რგოლი რკინისა და მრჩობლისა ჯაჭვითა შებეჭდეს და გაამგზავრეს რომის კერძოდ, და ბრძანებითა მის მსაჯულისთა შთასევს ხომალდსა. მებომოდეთა რომ მიყვანდათ რომს, ესე პილატე შთახდა გონებასა და თქვა შეშინებულმან კეისროსა მიერ, რამეთუ ვითარ წარსწყმედს მას. აღსდგა ღამე და შთაიგდო თავი

თვისი ზღვასა შინა; ეს რა ჰსცნეს მებომოდეთა, შთაცენდნენ ზღვასა შინა, მოკრეს ჯაჭვსა ხელნი და კრული პილატე აღმოათრიეს და შთასევს ხომალდსავე და დიდის დაკრძალვით მიიყვანეს რომს.

მაშინ შევიდა კეისარი და დასჯდა საყდარსა კერპთასა ტაძარსა შინა დიდებულთა თვასთა თანა, დადებდა, რათა შესწირონ არა ღმერთთა თავთა ასუიფს და გუიფოს სადაცა წარსდგა მსაჯული, წინაშე მათისა. და რაოდენი რა ესმა და იხილნა სასწაულონი და საკვირველებანი, რომელიცა იქმნა იერუსალიმსა შინა, შემდგომად ქრისტეს ვნებისა ჯვარსა ზედა. აღდგომა მისი და ამაღლება და სხვანი ამის მსგავსნი, ესმა და იხილა განკარგვით მიუთხრა კეისარსა შას. ხოლო ოდეს ესმა კეისარსა აღდგომა იესოსი, ფრიად გაწინხარა და ბრძანა წინაშე თვისსა მოყვანა პილატესი.

მოვიდა პილატე ჰრქვა მეფემან: ჰოი ყოვლად ბოროტო უბადრუტო! ესრეთ განგაწესე ქვეყანასა ჩემსა ზედა. რომელმან ჰყავ ეგე ვითარი უსამართლო სამართალი, და ეგრეთი კაცი მართალი წმინდა და ყოველთათვის სახმარი მიეც სასიკვდილედ უსჯულოსა შეკრებილებასა?

მიუგო პილატე: ჰოი მეფეო არა ეგრეთ არს, ვითარ თქვენ გსმენიესთ, ვითარმე თავით თვისით შემოქმედოს ესე?

ჰრქვა მას კეისარმან: არა შენ უწინარეს ამისა თვით მაუწყე წერილითა მტკიცითა?

მიუგო პილატე: ჰე მოგახსენეთ მე წიგნითა სიმტკიცე მისი, რომელ არა არს კაცსა მას შინა სიტყუე, რათა სხვათა ჩენთვის ბოროტი არა რას მოგახსენონ.

ჰრქვა კეისარმან: არა რა ვისგანმე მსმენიეს, თვინიერ მოწერილობისა შენისა და რაიცა შენ მოგიწერიეს, თვით სიტყვითა შენითა დასჯილ ხარ.

მიუგო პილატე: ჰე მეფეო ვიმყოფები წინაშე თქვენსა მე და ესე შეკრებულება, მყოფი სამსახურსა ღმერთთათა, აცადე სთქვან, იციან უკვე საქმე ბოროტი ჩემ მიერი ღირსი სიკვდილისა?

ქურნალი

„მოქროს ვერძი“

გ ა მ. 19 მ ა მ.

მ ა ა ს ს.

შინაარსი:
ლიტერატურა,
ხელოვნება,
პრიტიკა.

რედაქცია

— და —

კანტორის მისამართი:

Кутансь, Казаковскій пер. д. Яшвили.

გამოცემა ყოველ კვირეული.

მიიღება ხელის მოწერა:

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.
5 მ.	3 მ.	1 მ. 75 კ.	50 კ.	

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

მიუგო მეფემან და ჰრქვა: და რაილა და-
ვირჩა შენ უქმნელი ბოროტი, რომელმან მო-
აკვდინე კაცი ეგრეთი, რომელი სიტყვათა თვი-
სითა სიცოცხლესა მიანიჭებდა კაცთა და ქვე-
ყანისა ჩვენისა მაშენებელ იყო, და შენ ნე-
ბითა შენითა ქვეყანა ჩემი მოოხრებულ ჰყავ?

ჰრქვა პილატემან: ჰე მეფეო, უწყოდეს
სიბრძენმან შენმან, რომელ შე თავით ჩემით არა
რა მიყოფია, არამედ დიდებული და ქალაქისა
მის სიბრძულე აღდგეს ჩემზედა და ენებათ სიკ-
ვდილი ჩემი, შეშეშინა მათ მიერ, რომელთაცა
შეახეს მას ხელი, შეიპყრეს ღამე და შე არა
უწყოდი ვანთენებამდე, და მათ საჯეს იგი სი-
კვდილად და შე უბრალო ვარ სისხლისაგან
მართლისა.

მიუგო მეფემან და ჰრქვა: მაშ ვინ იყვენ
წინააღმდეგ შენდა და ხელმწიფებისა ჩემისა?

ჰრქვა პილატემან: დიდებულნი და მთა-

ვარნი ქალაქისანი იქმნენ წინამძღოლად
ერისა.

უბრძანა კეისარმან: ვინა იყვენ, რომე-
ლნი არა ემორჩილებოდენ ნებასა შენსა და
კაცებს იძულებულ ცემითა ანუ ენებითა!

მიუგო პილატე: არა მეფეო! არა ცხადად
უყოფიეს ესე ჩემდა, არამედ წარმოადგინეს
წინააღმდეგნი და ბოროტმეტყველნი, რომე-
ლნიცა იტყოდენ მისთვის: წინააღმდეგ არსო
კეისარისა და დიდებულებისა და მთავრობისა,
და თავსა თვისსა ჰსწორ ღვთისა ჰყოფს და
ამით მითანხმეს მე, ნებასა ზედა თავთასა.

ჰრქვა კეისარმან: და ვითა წინა აღუდგე-
ბოდა დიდებულებასა და მთავრობასა ჩემსა,
ანუ ჰყუანდა სხანი მრავალნი და მით ვითა-
ნხმეს?

მიუგო პილატე: არა მეფეო, არამედ შეძე-
შინა შე მეფეებისა და ბრძანებისა თქვენისა

მიერ და ჰეყავ იგი, რაიცა მათ მომიტხრეს მე. ჰკითხა მეფემან: ვინა იყვნენ პირველთა თანა განმზრახველნი და მწებელნი საქმისა ამის?

მიუგო პილატემან: სახელდობ ესე, **სიმონ, დოვდაელ, ლევი, ნეფთალიმ, გაად, ალექსანდრე, შაროს.** და მღვდელთმთავარი **ანნა** და **კაიაფა**, და სხვანი აღრეულთა ერთა სიმრავლენი:

უბრძანა მეფემან: მე შენ დაგადგინე მთავრად და მსაჯულად ქვეყანასა მას ზედა და ბრძანებისა ჩემისა, რაოდენიცა გესმა ჩემ მიერ.

მოახსენა პილატემან: კეთილად იტყვი, მეფეო, გარნა მრავალსა ბოროტსა სწამდეს მისთვის და ბოროტ მეტყველება მათი არა იყო მსგავს, და მე ნამდვილი იგი არა უწყოდ*).

(შემდეგი იქნება).

მღ. ბ. ოსიძე.

კვირიდან-კვირამდე.

ამ ნაშუქმა ჩვენ დაძაქუადებულ მაზეზის გამო დაიგვიანა და აძულებული გავხდით ორა ერთად გამოგვეშვა. ამავე მაზეზის გამო შექდევა ნაშუქრაც ორა ერთად გამოვა-

როგორც ვიცით, ვოსტორგოვი 53 ათას მანეთს თხოულობდა სამგზავრო ფულად თავისი კურსების მსმენელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეების კომისიამ მიიღო ეს თხოვნა, საბიუჯეტო კომისიამ, რომელსაც დასამტკიცებლად გადასცეს, უარყო იგი.

გაზეთ „Ран. Утро“-ს აცნობებენ პეტერბურგიდან, რომ დეკ. ვოსტორგოვის მოსკოვის შიძინების ტაძრის პროტოპრესვიტერათ დანაშენა უკვე გადაწყვეტილია. დანიშენა მოხდება მაისის დღესასწაულის წინა დღეებში.

ამასთან ერთად ფიქრობენ აღძრან შუაზღვაობლობა მოსკოვის აკადემიის საბჭოს წინა-

*) ეს წერილი მოგვაწოდა მარტვილიდან მღვდელთმთავარმა ჰაუთლომე ოსიძემ ძველი ზღონაწერიდან გადმოწერილი. საიდგან ჩაიდგო ზელში მ. ოსიძემ ეს ზღონაწერი, რომელ საუბრეს ეკუთნის იგი, არ ვიცით. რედ.

შე რათა ვოსტორგოვს მიეცეს ღვთისმეტყველების კანდიტატის წოდება, მისი საღვთისმეტყველო შრომებისათვის.

უწ. სინოდმა მოისმინა მოხსენება ეპ. გენადი ბალხანინელისა, რომელიც, სარვეზიოთ იყო ორლოვის ეპარქიაში, უწ. სინოდმა მისწერა ორლოვის ეპ. გრიგოლს, დაითხოვოს საარქიელო სახლიდან მრეცხავი ქალები, მერძევეები, მექათმეები, მესენაკის ცოლი და სხვები. ეპ. გრიგოლმა შეასრულა სინოდის გადაწყვეტილება და შონდომა მოეთავსებინა ისინი მეზობელ სახლში, რომელშიდაც საეკლესიო მუზეუმი იყო. ეს გადაწყვეტილება რომ გაიგო დამაარსებელმა პროფ. ვესევევი წინააღმდეგ მაგრამ ების. არ შიქცია ამას არავითარი ყურადღება. მაშინ საქმეში ჩაერია გრაფინია უვაროვისა, რომელმაც უწ. სინოდს შეატყობინა ყოველივე ეს. გრაფინიამ ეპისკოპოსსაც მკაცრი წერილი მისწერა; ყველა ამ ზომებმა იძულებული ყვეს ეპისკოპოსი შეეჩერებინა გადაწყვეტილება და საეკლესიო მუზეუმის გადაქცევა არქიელის მოსამსახურეების საცხოვრებელ ბინად (Руч. Молва).

მოსკოვის აკადემიის სამართველომ გადაწყვიტა 76 სტუდენტი პანსიონში საცხოვრებელ ფულის შეუტანლობის გამო დაითხოვოს. თუმცა ამ გადაწყვეტილებას არაფერი ძალა არ აქვს, სანამ მიტროპოლიტი არ დაამტკიცებს, მაგრამ სამართველომ წინადადება მისცა სტუდენტებს გასულიყვნენ აკადემიის შენობიდან და ამორიცხა ეგზამენის დამქრთ სიიდან.

ნაკიონალისტების მიერ წარდგენილი პროექტი სახელმწიფო სათათბიროში, სამღვდლოების ჯამაგირის მომატების თაობაზე, სინოდმა შეუძლებლად ჩათვალა, რადგან ეს მომატება იწვევს 70 მილ. მანეთ ხარჯს, რომლის დაფარვა ხაზინისთვის დღეს - დღეულად შეუძლებელია. ამიტომ უწ. სინოდი კდილობს შეიმუშაოს ისეთი პროექტი, რომელიც არც ისე საგრძნობელი იქნება ხაზინისათვის (Вар. Вѣд.)

საბერძნეთის მეფის გიორგის მკვლელობა თავი მოიკლა. ის გამოძიებელის კამერის ფანჯრიდან გადმოხტა და სული იქვე განუტევა.

28 აპრილს თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლები და მოწაფეები უმასპინძლდებიან ერთ დამსახურებულ საერო ისტორიის მასწავლებელს ნიკოლოზ დიმიტრისძე მახათაძეს. ის არჩეულ იქნა მეორე კომერციულ მასწავლებლის დირექტორათ, ამიტომ იძულებული შეიქნა მიეტოვებინა ის მასწავლებელი, რომლის კედლებში ის აღიზარდა და რომელშიაც მოღვაწეობდა პატიოსნად როგორც მასწავლებელი, 28 წლის განმავლობაში.

საპალიტენიკუმო კომიტეტმა ე. ა. ვატაცის თავმჯდომარეობით დაადგინა 18 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-სა შენობა აავგონ ნავთლულში ქალაქის მიწაზე. ამ ნაირად ბევრით უმჯობესი თავად-აზნაურობის მიერ შეწირული მიწა საბურთალოზე კომიტეტმა უკუაგდო. კომიტეტის დადგენილება წარედგინება მეფის მოადგილეს დასამტკიცებლად.

კახანის მონასტერში (ყუბანის ოლქში) დამთვრალ ბერებს მოუვიდათ ერთმანეთში ჩხუბი. ჩხუბის დროს იეროდიაკონმა ეფრემმა დანით დაჭრა წინამძღვარი ვგნატე. შემდეგ მღვდელმონაზონმა შაკარიმ თოფი ესროლა წინამძღვარს და მოკლა.

ამ დღეებში თბილისში მიიღებენ იტალიიდან გამოგზავნილ ტრადიკულად ვადაცვალეზულ ისტორიკოს მღვდლის თამრაშვილის წიგნსაცავს. იგი შესდგება იშვიათ წიგნებიდან ქართულ, ლათინურ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც შეეხებიან საქართველოს ეკლესიას და ძველ კოლხეთს. არის აგრეთვე მიწერმოწერა მეფეების და პატრიარხების პაპებთან. წიგნსაცავში დატულია ერთი წიგნი, რომელიც დაბეჭდილია 1627 წ. ქართულ ენაზე. ეს პირველი ქართული უძველესი ნაბეჭდი წიგნია.

იზერეთის სამღვდლოების სამარხი კასის წესდება კანტორას უწ. სინოდში წარუდგენია.

სინოდში, როგორც გვაცნობებს „Рус. Молва“, მიუღიათ სააპელაციო საჩივარი ბერ-მონაზონის ლეონტის, ორლოვის კონსისტორიის წინააღმდეგ, რომელმაც ჩამოართვა მას ბერობის ღირსება მისთვის, რომ ის ქალურათ გადაცმული დადიოდა სოფელში თავის საყვარელთან, სადაც ის იცვნეს და გლწებზე მიბეგვეს.

ამ დღეებში კრონშტადში აღვილობრივმა მატებარმა პოლიციამ გაჩხრიკა ფარული ბინა იოანიტების „ღვთისმშობლის“ ეკატერინე კორგაჩევისა და მისი თანამოღვაწის გოლუბკოვის, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა სახლში, რადგან წინაღობით წასულიყვნენ კიევიში. ჩხრეკა გაგრძელდა თითქმის თელი დღე. აგენტებმა ჩამოხიეს შპალერები და დაანგრის საკვამლე მილი. საკვამლეში იპოვეს რამოდენიმე შეკვრა ქალაღლის ფულებსა; ნახეს აგრეთვე ვექსილები და პირობის ქალაღლები ფულის თაობაზე, რომელიც მათ მოსტაცეს იოანიტ ვარლამოვს. როდესაც გასაჩხრეკად მივიდა პოლიცია, ბინაზე მყოფმა იოანიტმა ქალებმა ფანჯრებიდან გააპირეს საწვიმარ მიღს ჩაყოლოდენ და ჩასულიყვნენ ძირს. მაგრამ პოლიციამ დააბატიმრა ყველა (Рѣх).

პატრიარხ გრიგოლი IV-ს აზრი. სასულიერო წრეებში ამბობენ, რომ პატრიარხმა გრიგოლ 4-მ ერთ ერთ კრებაზე რუს ეპისკოპოზებზე გამოსთქვა შემდეგი აზრი: რუსეთში ეპისკოპოზები ბერებია, ეს კი კანონის წინააღმდეგია. იმიტომ რომ ბერები უნდა იმყოფებოდენ მონასტერში წინამძღვრის მორჩილებაში და არა უფროსობდენ, და საზოგადოათ, ასე თუ ისე არ უნდა ღებულობდენ მონაწილეობას ხალხის ცხოვრებაში. ჩვენში, აღმოსავლეთის ეკლესიებში, ეპისკოპოსები ბერები არ არიან, არამედ თეთრი სამღვდლოებიდან არიან, ან დაქვრივებული; ან არა და რომელთაც დასდვენ უკოლობის აღთქმა.

აი მე, -სთქვა დასასრულ პატრიარხმა, -

ვეკუთნოდი თეთრ სამღვდლოებას და ვიყავი ქვრივი მღვდელი.

ობერ პროკურორის კანცელარია აბათილებს გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს მაზე, ვითომც პოჩაევის ბერებმა დააწესეს გადიდებული ინხრი პოჩაევის ხატის თაყვანის მცემელთათვის რამდენიმე ასი მანეთით, წინდაწინ იღებდნენ ფულებს, და ერთი წუთის შემდეგ ხატი ისევ უკან მიქონდათ; თითქმის არც აძლევდნენ იმდენ დროს რომ მთხვევოდნენ, — და აგრეთვე მაზე რომ ბერებმა მიტროფანიევის „ზოდვორიეს“ ტაძარში დაამტკრიეს რაღაცეები.

სოფ. იკოთში(გორის მაზრა), საცა 200 კომ.ლი ქართველია და არც ერთი სხვა ეროვნების, როგორც გვაცნობებენ, დაუნიშნავეთ ამასწინათ რუსი მღვდელი, რომელმაც ინჩი არ იცის ქართულისა. სამწყსოს და მწყემსს არა ესმით რა ერთმანეთისა, და თითონ მღვდელს უთხოვია საცა ჯერ არს, ვადამიყვანეთ სადმე, ვინაიდან ყოვლად შეუძლებელია ასეთ წვალებაში ყოფაო. სასულიერო უწყებებიდან მოსვლია: აღასრულებთ ვალი უფლისა და ბრძანებისა თქვენისა, ვიდრე დაკარგავდეთ ადგილსა. მღვდელი იძულებულია თურმე აღსარებაც მთარგმნელის საშუალებით ათქმევინოს მლოცველთ.

ამაზე შორს სადღა წავე გათელვა, ადამიანური ღირსებისა? (კლდე).

თუ ეს მართალია, რაღათ უნდა უკვირდესთ, რომ ხალხი ავტოკეფალობას თხოულობს.

სვანეთის ეკლესიათა ხატ-ჯვარი.

სვანეთის საბლალოჩინოში ამ ეამად 15 მრევლია, სადაც 62 ძველი და ახალი ეკლესია იარცხება. ამ სამოკლა ორ ეკლესიაში ეკვსას სამოკლა სამი (623) ვერცხლისა და ოქროს ხატ-ჯვარი ითვლება, ასე, რომ საშუალო რიცხვით თვითთველ მრევლზე 41 ხატ-ჯვარი მო-

დის და 8 რჩება, ხოლო თითო ეკლესიის 10 ხატ-ჯვარი და 3 რჩება. სიმრავლე ხატ-ჯვარისა ბევრით მეტია თავისუფალ სვანეთის სამრევლოებში, ვინემ ასე წოდებულ სადადიშკელიანო სვანეთში. სამრევლოთა შორის ხატ-ჯვართ ყველაზე მდიდარია უშკულის სამრევლო, სადაც 122 ხატია და 19 ჯვარი, ყველაზე ნაკლები კი ბეჩო-7 ხატი და 3 ჯვარია, საკუთრივ ეკლესიებში ხატ-ჯვარის სიმრავლით და აგრეთვე ოქრო ვერცხლის, თვალ მარგალიტის და ხელოვნების მხრით პირველი ადგილი წმ. კვირიკეს ეკლესიას ეკუთვნის, რომელიც მთელი სვანეთის სიწმიდეს და კუთვნილებას შეადგენს და რომელშიდაც სამოკლა ერთი ხატ-ჯვარია, ამ ხატ-ჯვარში ურევია ის სვანების „შალიანიც“ (ჯვარცმის ხატი) რომელიც მკოდნე პირთა სიტყვით ფას დაუდებელია, როგორც ხელოვნების მხრით, ისე ძვირფას მასალის სიმდიდრით, რომლითაც იგი შემკულია.

623 ხატ-ჯვარში 508 საკუთრივ ხატია, ხოლო 115 ჯვარი. ზომით ჯვრებში ურევია მქონი სიმალით 3 არშინი და 11 ვერშოკი ხოლო სივანით 1 არშინი და 8 ვერშოკი. ხატებში სიმალით ორი არშინი, ვანით 1 არშინი და 2 ვერშოკი. 508 ხატი განაწილდება ამაირად: 1) 127 მაცხოვრის. 2) 97 წმ. გიორგის. 3) 94 მღვთის მშობლის. 4) 83 მთავარ ანგელოზების. 5) 27 უცნობი. 6) 9 წმ. კვირიკესი. 7) 6 ჯვარცმის. 8) 4 წმ. ბარბარესი. 9) სამსამი წ. თევდორესი, იოანე ნათლის მცემლის და გარდამოხსნისა. 10) ორ ორი მოციქულთა პეტრე და პავლესი წმ. დიმიტრისა და განკითხვისა. 11) თითო ხატი: სვიმონ მესვეტისა, წმ. ანდრიასი, წინასწარმეტყ. ანნასი, წმ. ვასილისა, წინასწარ. ილიასი, იაკობ ძმისა უფლისა, წმ. ნიკოლოზისა, წინასწარ. ზაქარიასი, წმ. ონოფრესი და წმ. ეკატერინასი.

სვანეთის ეკლესიების ბლალოჩინი, მღ. ბეს. ნიქარაძე

მოწერილი ამბები.

წერილი სამეგრელოდან.

ბევრი, ძალიან ბევრი ხელის შემშლელი და შემაფერხებელი პირობები ელოდება მეგრულ გლეხს წინ წაწევის საქმეში. სამეგრელოს სოფლების მთავარ უბედურებას ის შეადგენს, რომ საღ ინტელიგენტურ ძალებს იგი მოკლებულია, კიდევ რომ ძალიან უნდოდეს რა-მე საზოგადო მანერ ჩვეულების უარყოფა, მისთვის შეუძლებელია, რადგან დამრიგებელი, ხელმძღვანელი არ მოკაობა. ეს მოვლენა იქიდან სჩანს რომ სამეგრელოში აქაიკ ისევ შეათე საუკუნეა, კრუმორწმუნეობას, ექიმბაშ მკითხავეებს ჯერ კიდევ კარგი გასავალი აქვთ. აი მაგ. ცხოვრების უკუღმართ პირობების წყალობით ავად ხდება რომელიმე ოჯახის წევრი. ნამდვილი მიზეზი გლეხს, რასაკვირველია, ვერ შეუგნია. ვერ გაუთვალსწიხებია. მიზეზის ძიებაშ-მას აგონდება შემდეგი: მისმა პაპამ წმ. გიორგის ზეარაკი აღუთქვა და აღთქმული კი არ აუსრულებია. მიზეზი გამოკვლეულია. გლეხი გარბის გარეშე სოფელში, სადაც გამოცდილი, შესანიშნავი მკითხავეა უკანასკნელი, რა შვილია! კარგათ იცის საიდან უნდა მოუაროს გლეხს თავი ჯერ გამოკითხავს მას მის წინაპართა სალოცავებს. ჯერით წარბ შეკრული გლეხი გულახდილად ეუბნება ყველაფერს. აწი დახეთ მკითხავს: დაიკლანება, აცახცახდება, როგორც მომაკვდავი, დაიბრიცება და მოჰყვება ბოდვას, ვითომ წმიდანი აღაპარაკებს: დაგანელებ... დაგწავ... არ დაგზოვავ... რათ არ შწირავ ზეარაკს... მე ვარ წმიდა გიორგი... ან ისეთ წმიდანის სახელს ეტყვის, რომელიც წებან გამოტყუა გლეხს. გლეხი შიშისგან კანკალებს, თრთის და თან გულში უდებს წმიდანს ყველაფერს, ოღონ ნუ დამანელებ და ამომწვევებო. გლეხი ამრიგათ, დაჯერებული წინაწარმეტყველობით, ბრუნდება სახლში გახარე ბული.

„ჰაი, ჰაი, დაილოცა ღმერთო შენი დიდება.“ მისვლისთანავე გადაიწერს გლეხი ჰირჯვარს და ავათყოფს. ანუ გეშებს, — ისე წნელივით დაგრიხა იმ წყეულმა მკითხავემა... ზეარაკი არ შეგისრულებიათო... მერე იმ წამსვე ჩვენი სალოცავი დაასახელა. აბა ღვთის განგება რომ არ იყოს, საიდან იცოდა მან ჩვენი სალოცავიო“ ის კი ავიწყდება, რომ თვითონ იყო ყველაფრის მთქმელი. მეორე დღესვე გლეხი აბამს ურემს და მიემგზავრება სალოცავად 40—50 ვერსზე. ავათყოფი ხშირად უარესდება, ცოცდება და ზოგიც კვდება. გამოურკვეველ ბურუსში გახვეული გლეხი განცვიფრებული შეჭურებს ყველა ამას. „ეჰ, ღვთის განგება ასეთი ყოფილა“, ამბობს გლეხი თავისთვის და ისევ სწევს თავის უღელს; შრომობს, ცდილობს სხვას არ ჩამორჩეს, გულს არ იცრუებს მომივალზე და, თუ კიდევ ვინმე ავად გაუხდა, ისევ იმ მკითხავთან მიდის, ასრულებს მის დარიგებას, მიჰყავს ზეარაკი, ღამეს უთევს, ლოცულობს გერს, სარკეს და სხვ...

ვინ წარმოადგენს მათ მხსნელ ჰირსულელებს, ინტელიგენტებს? დღეს-დღეობით სოფლის ინტელიგენციას შეადგენს მღვდელი და მასწავლებელი. თუ ეს მოხელენი ვარგანან და გულშემატკივარნი არიან სოფელზე, მათ შეუძლიათ სოფელსაც გაუწიონ ასეთი თუ ისეთ პატრონობა; მოსპონ გლეხის გულში და შელაზონ ძველებური ცრუ შეხედულება, განუმარტონ მათ ექიმბაშ მკითხავეების მანებლობა და ექიმების სარგებლობა, და გაცნონ უფრო შესაფერი სისარგებლო, სადღეისო და წინწამწევი საშუალებანი და მით ხელი შეუწყონ როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად ჩამორჩენილ გლეხ-კაცობას. მხოლოდ მაშინ მოიხდის ეს ორი მოხელე წმიდათ თავის მოვალეობას და გამოვა ერის წინაშე პირნათლად.

ვერე ზეგდიდელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ ზეგდიდელი.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.